838/2N13027

# თავისუფალი საქართველო

№ 1

3 - 10 სექტემბერი 1994 წ.

რეგისტრაციის № 0441
ინდექსი 66421

ფასი 500 მანეთი

თანხა, რომელსაც თქვენ იხდით ამ ნომერში, არ გახლავთ გაზეთის ღირებულება. ეს არის თქვენი კეთილი ნების ერთჯერადი შემოწირულება, რათა "თავისუფალმა საქართველომ" სამომავლოდ შეძლოს ფუნქციონირება.

## ძვირფასო მკითხველო

ორი წელიწადია, რაც ჩვენი გაზეთი არ გამოსულა. უკანასკნელად 1992 წლის 20 ივნისს შევხვდით ერთმანეთს. ერთადერთი ნომრის გამოშვება მოვასწარით. 24 ივნისს გაზეთი დახურეს.

თუ არ ჩავთვლით ამ მცირე ეპიზოდს, გაზეთი იმ დღიდან აიკრძალა, რაც პრეზიდენტმა დატოვა სამშობლო. გასული სამი წელიწადი უმძიმესი ხანა იყო ჩვენი ქვეყნის ისტორიაში. აპოკალიფსური გარდუვალობით ახდა პრეზიდენტის წინასწარმეტყველება: საქართველო გაივსო ნაგვით და ბანდიტებით. სახელმწიფო განახევრდა, დასუსტდა, დაიქსაქსა... თითქმის განადგურდა. ეკონომიკურმა და სამართლებრივმა ქაოსმა მოიცვა ქვეყანა.

უიმედობა და მწუხარება დაეუფლა [illegible]ოდ წლის წინ იმედებით, რწმენით, სიყვარულით გასხივოსნებულ ჩვენს სამშობლოს.

ჩვენ მოგვტაცეს უფლება ვიყოთ ბედნიერი, წაგვართვეს თავისუფალი საქართველოს მოქალაქეობის სიამაყე. პრეზიდენტის ოცნება გაბრწყინებულ საქართველოზე, სამადლოდ გადმოგდებული პურის უგემური ლუკმით შეგვიცვალეს. პატივაყრილნი, შევურთხებულები, გათელილები, გალატაკებულები, შეურაცხყოფილები უსიცოცხლოდ დავეხეტებით ჩვენი სამშობლოს ხიფათიან გზებზე.

ასე ცხოვრობს დღევანდელი საქართველო - უგულოდ, უხალისოდ, უსიხარულოდ.

ასე ვცხოვრობთ ჩვენც, "თავისუფალი საქართველოს" თანამშრომლები. ის სამი წელიც ისე ვიცხოვრეთ, როგორც მთელმა ჩვენმა ქვეყანამ - უმწეობის მტკივნეული განცდით, უსამართლობის, უხეში ძალის, უსირცხვილო ტყუილის პირისპირ.

ჩვენ დღეს ერთმანეთის წინაშე ვდგავართ.

მაგრამ ისეთი ხანგრძლივი დროა ამოვარდნილი ჩვენი ურთიერთობიდან... ახსოვს ქართველ მკითხველს "თავისუფალი საქართველო", სჭირდება საქართველოს ჩვენი გაზეთი?

იმედი გვაქვს, რომ ამ კითხვაზე თქვენ თავად გაგვცემთ პასუხს, ჩვენო მკითხველო. თქვენი თანადგომით, თქვენი მეოხებით, თქვენი სულგრძელი მონაწილეობით ძალამოცემულნი, ჩვენ დავძლევთ იმ წინააღმდეგობებს, რაც გზად გველობება.

"თავისუფალი საქართველო", თუ მას სიცოცხლე უწერია, გამოდის მათთვის, ვისთვისაც თავისუფლება ოდენ ლიტონი სიტყვა არ არის, ვისაც სწამს საქართველოს თანამდევი სულის უკვდავების, ვინც ერთგულია არჩეული გზის.

ჩვენ ვდგავართ ერთმანეთის წინაშე.

შემაძრწუნებელია ჩვენი წარსული, უმძიმესია ჩვენი აწმყო, გაურკვეველია ჩვენი მომავალი, მაგრამ ჩვენ, "თავისუფალი საქართველოს" თანამშრომლებს, ისევე როგორც თქვენ, ჩვენო მკითხველო, მარილო ქვეყნისა, ქართველო ერო, ვერ მოგვიკლეს თავისუფლების წყურვილი, ვერ დაგვიკარგეს რწმენა მომავლის, ვერ გაგვიხუნეს უკვდავი სიტყვების: "ენა, მამული, სარწმუნოება" მარადიული ხიბლი.

ჩვენ ვდგავართ ერთმანეთის წინაშე და ლოცვისმიერი მღელვარებით ვიმეორებთ საკრალურ სიტყვებს: "ჩვენი თავნი ჩვენადვე გვეყუდნეს".

ღმერთო, მოგვეცი ძალა და ნიჭი გავხდეთ ღირსი იმ დიდი მადლის, რასაც სამშობლოს მსახურება ჰქვია.

---

ღმერთო, ღმერთო!
გთხოვ, მიწყალო, შემიბრალო,
რაც გადამხდა, განკითხვის დღეს
მადლად მე არ ჩამითვალო.

მე არა გთხოვ, - მანდ წამება
აქ წამებით შემიმცირო,
მე გთხოვ, - სისხლი აქ დაღვრილი
ჩემი სხვისთვის შეიწირო.

ღმერთო, ღმერთო!.. თვალ-წინ მიდგა
დიდ ტანჯული მე ძე შენი...
ვით ძით ყველა, ისეც ჩემით
ერი ჩემი დაიხსენი.

53
IX-XI



# ზვიადი

## საქართველოს პრეზიდენტი თავისუფლებისთვის წამებული რაინდი

1991 წლის 26 მაისს საქართველომ აირჩია პრეზიდენტი. მანამდე საქართველოს პრეზიდენტი არ ჰყოლია.

ზვიადი გახდა პირველი პრეზიდენტი.

საქართველო მისტერიების ქვეყანაა. აქ შემაძრწუნებელი ერთგვაროვნობით მეორდება ისტორია.

დღეს ჩვენ იმავე არჩევანის წინაშე ვდგავართ, რა არჩევანიც ოდესღაც მოწამე დედოფალს, შუშანიკს დაუდგა: სპარსეთთან თანამეგობრობა ყველა აქედან გამომდინარე უპირატესობით - ლამაზი კაბებით, მდიდრულად მოწყობილი სახლით, საზღვარგარეთ სიარულით, ძვირფასი ფარჩებით და ამ სიამოვნებების სპარსული ჯარის გარანტირებული დაცვით, თუ დიპლომატიურად მოუქნელი გზა დამოუკიდებლობის, ყველა აქედან გამომდინარე უხერხულობით - დათმენით, მოთმინებით, მძიმე გარჯით, თავგანწირვით, შეუპოვრობით.

საქართველო მისტერიების ქვეყანაა. აქ არ არსებობს შუალედური კატეგორიები, ნახევარსიმართლე. აქ მხოლოდ თეთრისა და შავის ცნება მოქმედებს. ყველა, ვინც წმინდა შუშანიკს დაემოწმა არჩეული გზის სისწორეში, კარგი იყო. უბრალო ქართველების უწყვეტი რიგები წმინდა დედოფლის საპყრობილესთან, ვარსქენს, ალბათ, ჭუჭყიან ბრბოდ ეჩვენებოდა.

საქართველო მისტერიების ქვეყანაა და აქ ბოროტება ყოველთვის თავის ნამდვილ სახეს იძენდა. სახელმწიფო მასშტაბის კომპრომისს აუცილებლად მოჰყვებოდა შიმშილი, წყვიალი, სიცივე, სილატაკე, დიდძალი მსხვერპლი...

ბოროტების საპირისპიროდ, საქართველოში ყოველთვის არსებობდა ქმედითი სიკეთის ცხოველმყოფელი ხატი. ქართველმა ყოველთვის იცოდა ვისთვის მიებაძა. აქაც შემაძრწუნებლად მეორდებოდა ისტორია - შუშანიკი და ქეთევანი, სხვადასხვა ეპოქაში წამებული ორი დედოფალი... გრიგოლ ხანძთელი და ილია ჭავჭავაძე, სხვადასხვა დროის ორი მოღვაწე - განმანათლებლები და აღმშენებლები. გენიალური მეფეები - ვახტანგი, ბაგრატი, დავითი, დემეტრე, გიორგი... როგორ გვანან ისინი ერთმანეთს - თავდადებულნი, დაუღალავნი, განასულებულნი, რჯულის ერთგულნი...

მეოცე საუკუნის ბოლოს, ოცდამეერთე საუკუნის მიჯნაზე - რეაქციული რაკეტების, ატომური ბომბის და კომპიუტერების ეპოქაში; აბსურდის, ტოტალური ურწმუნეობის, უიდეალობის, უღმერთობის გარემოცვაში საქართველოში გაჩნდა სიქველის, გმირობის, თავგანწირვის ახალი ხატი - სამშობლოს სიყვარულისთვის ვნებული პრეზიდენტი, თავისუფლებისთვის წამებული რაინდი.

საქართველო მისტერიების ქვეყანაა. არჩევანი, როგორც ყოველთვის, შეუცდომელი აღმოჩნდა.

საქართველომ იცის საქართველოს პრეზიდენტი როგორი უნდა იყოს და აუცილებლად უერთგულებს ამ იდეალს.

ზვიადის თავგანწირვა ბრწყინვალე ამაღლებად გაჰყვება საქართველოს მომავალ ისტორიას. საქართველოს პირველი პრეზიდენტის განსაცვიფრებელი ხატება ამიერიდან ყველა პრეზიდენტს ჩააფიქრებს იმ დიდი საიდუმლოს ფლობის საზღაურზე, რასაც ერის სიყვარული და ნდობა ჰქვია.

**გმადლობთ პრეზიდენტო.**

---

# ჩვენი გზა

*"ხმალი იმოდენს ვერას იქმს
მრისხანე და ძლიერიო,
რასაც იქმს მშვიდობიანი
კალმის პატარა წვერიო".*

*ილია ჭავჭავაძე*

ამ სიტყვების ჭეშმარიტება კვლავ დაადასტურა ჩვენმა მძიმე დროებამ, როდესაც იარაღით დაჯავშნული "დემოკრატია" მცოცავი ტყვიებითა და უსამართლო მართლმსაჯულებით დევნის სიმართლის მთქმელ კალამს, მაგრამ ვერას ხდება ამ მართლაც უთანასწორო ბრძოლაში.

მაშ რითი შეიძლება აიხსნას, თუ არა შიშით ის ფაქტი, რომ ვეებერთელა იმპერიის ძალისმიერი სტრუქტურებით, საინფორმაციო პროპაგანდისტული მანქანითა და საკუთარი მოთარეშე რაზმებით დაცული მმართველობა პირველივე ნომრის გამოსვლისთანავე კრძალავს გაზეთს, რედაქციის მიმართ სისხლის სამართლის საქმეს აღძრავს, ავტომატებით შეიარაღებული პირები ღამით იჭრებიან რედაქტორის, გაზეთის თანამშრომლებისა და მათი მეგობრების ბინებში, აწყობენ უსანქციო ჩხრეკებს, მეგობართან სტუმრად ყოფნისას აპატიმრებენ გაზეთის კორესპონდენტს მასპინძლებთან ერთად შეშინებული ბავშვების თვალწინ, შემდეგ მიჰყავთ ქვეყნის უმაღლესი მმართველი ორგანოს შენობაში და მთელი ღამის განმავლობაში ცემა-ტყეპითა და მუქარით ცდილობენ რედაქციის თანამშრომლების მაკომპრომეტირებელი ჩვენებები გამოსძალონ.

უკანონობისა და ძალადობის ეს გზა გაიარა "თავისუფალმა საქართველომ".

დამრბევთა სისასტიკემ და მოხელეთა უპრინციპობამ ნათელი გახადა ჩვენთვის, რომ პრესის მიმართ არასამართლებრივი ანგარიშსწორების ეს ტალღა ჩვენზე არ შეჩერდებოდა და მომავალში სხვებსაც მოიცავდა, მათაც, ვინც ერთხანს თანამოაზრედ ევლინებოდა მმართველ რეჟიმს.

დრომ გვიჩვენა, რომ ჩვენ არ ვცდებოდით. დღეისათვის არასამართლებრივი ზეწოლა თუ ძალადობა ბევრი სხვა გაზეთისა და ჟურნალისტის მიმართ იქნა გამოყენებული. ამიტომაც ვაფრთხილებდით ჩვენს კოლეგებს, ჟურნალ-გაზეთების რედაქციებს, პოლიტიკური შეხედულებების მიუხედავად, ხმა აღემაღლებინათ ამ ბარბაროსული ფაქტების წინააღმდეგ და ამით სამომავლოდ საკუთარი თავიც დაეცვათ.

ამ დროს კი ჟურნალისტთა ერთი ნაწილი ტაშს უკრავდა თვითმარქვია "სახელმწიფო საბჭოს" უკანონო გადაწყვეტილებას, ნაწილი - დუმილს ამჯობინებდა, ხოლო ზოგიერთი განსაკუთრებით თავგამოდებული დემოკრატი თავად აქტიურად ჩაება გაზეთ "თავისუფალი საქართველოს" დევნაში. გაზეთ "ნები"-ს რედაქცია, რომელსაც ე.წ. პარლამენტის წევრი რომან მიმინოშვილი რედაქტორობს, შეიჭრა ჩვენს კუთვნილ ოთახებში და მიისაკუთრა ინვენტართან და საბუთებთან ერთად (ან, ალბათ, ეს უკანასკნელი სათანადო ორგანოებს გადასცა). გამომცემლობა "სამშობლოს" ხელმძღვანელობა გვარწმუნებდა, რომ ეს მისი ნებართვით არ მომხდარა, თუმც კი, იქვე წამოსცდათ, რომ ოთახებს ისედაც ჩამოგვართმევდნენ გადასახადის გადაუხდელობის გამო. ჩვენი მხრიდან ეს "უხეში დარღვევა" ერთადერთი მიზეზით იყო გამოწვეული: დაპატიმრებულნი იყვნენ არა მხოლოდ გაზეთის თანამშრომლები, არამედ - საბანკო ანგარიშიც.

ნათელი იყო, რომ გამომცემლობას, უფრო სწორედ მისი ხელით მოქმედ მმართველ რეჟიმს, თავიდანვე განზრახული ჰქონდა ჩვენი ოთახების გაჩუქება. ამიტომაც არც ერთხელ ოფიციალურად არ მოუმართავს ჩვენთვის გადასახადის დაგვიანების გამო. დღეს იმავე გამომცემლობის პირით უარს გვეუბნებიან "თავისუფალი საქართველოს" დაბეჭდვაზე, ვითომდაც იმ მოტივით, რომ ძველი მანქანა-დანადგარები ახალ დატვირთვას ვერ გაუძლებენ, თუმცა სხვა, ნაკლებადმომგებიანი გაზეთებისთვის ყველა ტექნიკური პირობა სრულდება.

(გაგრძელება მე-2 გვ.)

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ზვიად გამსახურდიას გამოსვლის ტექსტი ზუგდიდის ტელევიზიით 1993 წლის 26 სექტემბერს

საქართველოში ჩამოსვლისთანავე შევუდექი მოვალეობის აღსრულებას ერის წინაშე.

უამრავი პრობლემა დამხვდა.

ერთ-ერთი უმთავრესი პრობლემა ხუნტის მიერ გაჩაღებული პროვოკაციული ომი, რომელმაც ნგრევა და კატასტროფა მოუტანა ჩვენს ქვეყანას.

მე ამ ომის გაჩაღებისთვის ბრალს ვდებ ორივე მხარეს; როგორც სეპარატისტების მოქმედებას, რომელთაც ხაზი გადაუსვეს საქართველოს კონსტიტუციას, ხაზი გადაუსვეს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციას, ვითომდაც აღადგინეს აფხაზეთის ძველი კონსტიტუცია, რომლის მიხედვითაც აფხაზეთი ვითომდაც არ იმყოფება საქართველოს შემადგენლობაში, მეორეს მხრივ, ბრალს ვდებ ხუნტას, რომელმაც ესოდენ რთული პოლიტიკური საკითხების გადაწყვეტა მოინდომა ომის გზით, რომელიც თავიდანვე განწირული იყო. მათ ყოველგვარი სამხედრო მომზადების გარეშე, სიტუაციის რეალური შეფასების გარეშე დაიწყეს ეს ომი, სადაც არ იყო გათვალისწინებული ის ძალები, რომელნიც შესაძლო იყო ჩარეულიყვნენ ამ ომში, რამაც მოგვიტანა კატასტროფიული შედეგები.

უკანასკნელ ხანებში ძალზე გამწვავდა მდგომარეობა. ჩამოსვლისთანავე, პირველსავე მიტინგზე მე მოვუწოდე საქართველოს, ქართველ ერს, ჩვენს შეიარაღებულ ძალებს დაიცვან საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა, დაიცვან აფხაზეთის ქართული მოსახლეობა, **უფრო მეტიც, ჩვენი შეიარაღებული ძალები, ბატონი ვახ**ტანგ ქობალიას ხელმძღვანელობით, გადამწყვეტ ძალას წარმოადგენენ ჯერჯერობით აფხაზეთის ფრონტზე; არა მხოლოდ ოჩამჩირის რაიონში, სადაც აქტიურად მოქმედებს ჩვენი გვარდია, არამედ სოხუმშიც, სადაც მებრძოლთა უმრავლესობა კანონიერი ხელისუფლების მომხრეა. სოხუმის დაცვა მათ იტვირთეს, მთელი სიმძიმე მათ კისერზეა. მაგრამ არსებობს ძალიან ბევრი ხელისშემშლელი ფაქტორი, რომელთაც, ალბათ, მალე დავძლევთ.

მე მსურს ხაზგასმით აღვნიშნო ის, რომ ამ ომის წარმატებით დასრულება არის ერთ-ერთი უმთავრესი მიზანი ამ ხელისუფლებისა. უკანასკნელი ორი დღის განმავლობაში, ისე იგი იმ ხნის განმავლობაში, რაც მე სამშობლოში ვიმყოფები, ხუნტამ და მისმა საინფორმაციო საშუალებებმა გააჩაღეს უპრეცედენტო დეზინფორმაციის კამპანია ჩემს ჩამოსვლასთან დაკავშირებით, ჩემს მიზნებთან დაკავშირებით და აფხაზეთის ომისადმი ჩემი დამოკიდებულების გარშემო. სარგებლობენ რა იმით, რომ ჩვენი მიტინგები, რომლებიც ჩავატარეთ ზუგდიდში და წალენჯიხაში, არ იქნა გადაცემული საქართველოს ცენტრალური ტელევიზიის მიერ მიუხედავად იმისა, რომ თბილისის ტელევიზიამ მე გამომიგზავნა ჯგუფი, რომელსაც ჩავაწერინე თორმეტწუთიანი მიმართვა, სადაც გამოვხატე ჩემი დამოკიდებულება აფხაზეთში მიმდინარე მოვლენებისადმი, მათ არ გადასცეს ჩემი გამოსვლა, ვინაიდან მათ ხელს არ აძლევს, რომ საზოგადოებამ იცოდეს ჩემი ნამდვილი დამოკიდებულება აფხაზეთის ომთან დაკავშირებული პროცესებისადმი, ჩემი როლი ამ ომში, ჩვენი შეიარლებული ძალების როლი, მათი წვლილი.

ამიტომ ვსარგებლობ შემთხვევით და მინდა მოგახსენოთ შემდეგი: ამჟამად მე გავეცი განკარგულება - ჩვენი შეიარაღებული ძალების მნიშვნელოვანი ნაწლი გადასროლილია ოჩამჩირისა და სოხუმის ფრონტებზე. სოხუმში თავიდანვე იბრძოდნენ ჩვენი ძალები და ინარჩუნებდნენ სოხუმს, მაგრამ ხუნტის ჯარების დეზინფორმაციული, არაკომპეტენტური მოქმედების შედეგად მრავალი სამხედრო მარცხი იწვნია ქართულმა მხარემ, განსაკუთრებით სოხუმში.

ამჟამად ოჩამჩირის რაიონში ბრის ძალიან ბევრი ხელისშემშლელი ფაქტორი. ხუნტის სარდლობა არაკომპეტენტურია, არ იგეგმება ოპერაციები სათანადო სამხედრო მომზადების, სამხედრო კვალიფიციურობის საფუძველზე. ამის გამო, მე გადავწყვიტე შევქმნა ერთიანი ხელმძღვანელობა, ერთიანი შტაბი, რომელსაც უხელმძღვანელებს საუკეთესო სამხედრო სპეციალისტი, გვარდიის პოლკოვნიკი, ბატონი გურამ ლაკია, რომელიც ემორჩილება გაეთიანებული შეიარაღებული ძალების სარდალს, ბატონ ვახტან ქობალიას - და მათი ხელმძღვანელობით წარიმართება საომარი მოქმედებები აფხაზეთის ფრონტზე.

მე გამოვეცი სპეციალური ბრძანებულება, რომ ოჩამჩირის ფრონტზე მოქმედი ყველა შეიარაღებული შენაერთი, თვით უკანონო ხელისუფლების შეიარაღებული ძალების ჩათვლით, უნდა დაექვემდებაროს ბატონებს ვახტანგ ქობალიას და გურამ ლაკიას. მხოლოდ ამ შემთხვევაში, მხოლოდ ერთიანი ხელმძღვანელობის შექმნის შემთხვევაში მივაღწევთ წარმატებებს. **უკვე არის იმის ნიშნები, რომ უკანონო ხელისუფლების შეიარაღე**ბული ძალების ნაწილები გადმოდიან ჩვენს დაქვემდებარებაში და წარმატებით მიმდინარეობს ოჩამჩირე-სოხუმის ტრასის გაწმენდა. საბრძოლო ოპერაციებში ჩართულია ჩვენის მხრივ ძალზე მნიშვნელოვანი ძალები.

ჩვენ კატეგორიული ულტიმატუმი წავუყენეთ ხუნტას. როგორც მოგეხსენებათ, ხუნტას კონცენტრირებული ჰყავს შეიარაღებული ძალები და ტექნიკა ძირითადად თბილისში, ქუთაისში, სამტრედიაში და ფოთში. ისინი სულ უფრო და უფრო მეტს საუბრობენ თბილისის გამაგრებაზე, ქუთაისის გამაგრებაზე, სამტრედიის გამაგრებაზე, ფოთის გამაგრებაზე. ძირითადი აქცენტი გადატანილია აქეთ. არ ეხმარებიან ჩვენს გვარდიას, ყოველგვარ საბოტაჟს უწევენ.

ჩვენი კატეგორიული მოთხოვნაა სამხედრო ტექნიკა, შეიარაღება, მომარაგება გადმოვიდეს ჩვენს დაქვემდებარებაში, გადასროლილ იქნას აფხაზეთის ფრონტზე და ყველა საჯარისო ფორმირება დაექვემდებაროს ერთიან სარდლობას. ვინაიდან ომში ყოველგვარი წარმატება დამოკიდებულია ერთიან, ცენტრალიზებულ ხელმძღვანელობაზე და ერთიანი ფრონტით მოქმედებაზე.

ამას ჩვენ წარმატებით ვაღწევთ, კიდევ უფრო მეტს მივაღწევთ და მჯერა, რომ სამხედრო წარმატებები გარანტირებული იქნება.

მოვუწოდებ ყველას, ყველა შეიარაღებულ ძალას, მიუხედავად იმისა, ვინ რომელ პოლიტიკურ პოზიციაზე დგას, დღეს არ არის დაპირისპირების დრო, დღეს არ არის ურთიერთკონფრონტაციის დრო, ჩვენ უნდა დავივიწყოთ ჩვენი პოლი**ტიკური დაპირისპირება და ერთიანი ფრონტით ვიმოქმედოთ.**

ხუნტა ყოველნაირად ცდილობს დეზინფორმაციები შეიტანოს აფხაზეთის რეგიონში, კერძოდ, გალისა და ოჩამჩირის რაიონში, ვითომდაც მე მოვუწოდებ ჩემს შეიარაღებულ ძალებს, რომ მათ არ იბრძოლონ; ვითომდაც მე მოვუწოდებ ჯერ თბილისის აღებისაკენ, ხოლო შემდეგ აფხაზეთის ფრონტზე მოქმედებისაკენ. ეს არის სიცრუე. ძალიან გთხოვთ, ამას ნუ დაიჯერებთ. არსებობს ჩემი ბრძანებულებები. ისინი გამოქვეყნდება.

კიდევ ერთხელ შეგახსენებთ - მთელი ქართველი ერის, მთელი მოსახლეობის ზეწოლა უნდა განხორციელდეს უკანონო ხელისუფლებაზე, რომ მათ დაგვიქვემდებარონ თავიანთი შეიარაღებული ძალები და არ შეგვიშალონ ხელი, ვინაიდან ისინი დიდ ხელისშემშლელ ფაქტორს წარმოადგენენ.

ასე რომ, კიდევ ერთხელ მოგიწოდებთ თქვენ, მთელ ქართველ ერს, დავიცვათ ჩვენი სამშობლოს ტერიტორიული მთლიანობა, დავიცვათ აფხაზეთის ქართველი მოსახლეობა და ვიბრძოლოთ ამ ომში საბოლოო გამარჯვებამდე.

უკვე არის იმის ნიშნები, რომ აფხაზური მხარე მოდის მოლაპარაკებაზე, ვინაიდან იქ იციან, რომ კანონიერი ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლა მას უფრო გაუჭირდება, ვიდრე უკანონო ხუნტასთან ომი. ყოველივე ამის გათვალისწინებით, გამოვთქვამ იმედს, რომ მალე საგრძნობი წარმატებები გვექნება. თუ იქ არის ამჟამად გართულება, თუ იქ დატრიალდა ესოდენ მძიმე ტრაგედიები, ამისათვის პასუხისმგებლობა ეკისრება ხუნტას, რომელმაც ხელი მოაწერა კაპიტულანტურ ხელშეკრულებას, რომლის ძალითაც უპირობოდ უნდა ყოფილიყო გამოყვანილი რეგიონიდან ყველა შეიარაღებული ძალა, რაც ნიშნავდა ქართული მოსახლეობის გამოყვანას; ვინაიდან სოხუმს და ოჩამჩირეს ძირითადად ადგილობრივი ქართული მოსახლეობის წარმომადგენლებისგან შემდგარი შეიარაღებული ძალები იცავენ. მათ მოაწერეს ხელი ფაქტობრივად ქართული მოსახლეობის დეპორტაციას და გამოდევნას აფხაზეთიდან და სამხედრო ტექნიკის გამოტანას, რამაც გამოიღო ეს საშინელი შედეგები.

ჩვენ კიდევ ერთხელ მოვუწოდებთ ხუნტას -გადმოისროლოს შეიარაღებული ძალები აღნიშნული რეგიონებიდან აფხაზეთის ფრონტზე. წინააღმდეგ შემთხვევაში, ყველა შესაძლო შედეგებთან დაკავშირებით, პასუხისმგებლობა დაეკისრებათ მათ.

აი, ეს მინდოდა მომეხსენებინა [illegible] კიდევ არაერთხელ გამოვალ ტელევიზიით, დაწესდება პრეზიდენტის საათი, სადაც მივაწვდი მოსახლეობას ინფორმაციას ყოვე[illegible] იმის შესახებ, რაც ხდება [illegible] გამოვხატავ ჩემს პოზიციას საქართველოში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით.

გისურვებთ წარმატებებს და მოგიწოდებთ ამოუდგეთ მხარში კანონიერ ხელისუფლებას ჩვენს წმიდათაწმიდა საქმეში, კანონიერების აღდგენასა და აფხაზეთში საბოლოო გამარჯვების მიღწევის საქმეში.

# ჩვენი გზა

(დასაწყისი 1 გვ.)

ცხადია, მმართველმა წრეებმა ტაქტიკა შეცვალეს და ამჟამად ხელოვნურად შექმნილი დაბრკოლებებით ცდილობენ ჩვენი გაზეთის შეჩერებას. ამიტომაც მიგვაჩნია, რომ "თავისუფალი საქართველოს" აკრძალვა კვლავ ძალაშია. ამდენად, ჩვენი გაზეთი საქართველოში საყოველთაოდ გავრცელებულ რეპრესიათა თითქმის ყველა ფორმას ეზიარა. ფიზიკური ანგარიშსწორებით დაწყებული, ეკონომიკური სანქციებით დამთავრებული. არ შევუდგებით იმის მოყოლას, თუ რა ხანგრძლივი, მომაბეზრებელი, არასამართლებრივი დემაგოგიით შენიღბული პროცედურების გავლა მოგვიწია პროკურატურაში, სჯსამართლოსა და სხვაგან, რათა კვლავ გაგვევლო რეგისტრაცია და ხმა მიგვეწვდინა ჩვენს მკითხველამდე. შესაძლოა არსებობდა უფრო მოკლე გზაც: ნაცნობობის, ჩალიჩის, მოსაცდელებში ხანგრძლივი ლოდინის, ურთიერთგაგებასა და თანამშრომლობაზე ღიმილიანი დაპირებების; მაგრამ ჩვენ ვარჩიეთ გვეხელმძღვანელა ჩვენი პრინციპებითა და იმ კანონით, რომელიც ჯერ კიდევ საქართველოს რესპუბლიკის კანონიერმა უზენაესმა საბჭომ მიიღო და რომელიც დღემდე დემოკრატიულობის ოაზისად რჩება უსამართლობის უდაბნოში. სხვათა შორის, სწორედ ეს კანონი დღეს მეტ-ნაკლებად იცავს არა იმდენად დაუმორჩილებელ პრესას, რამდენადაც საქართველოს წინააღმდეგ შეთქმულებაში თანამონაწილე გაზეთებს, რომლებიც კანონიერი ხელისუფლების დროს სიტყვის თავისუფლების შეზღუდვას ჩიოდნენ, ხოლო ამჟამად პოლიტიკური ამინდის ცვლილებისა თუ საკუთარი ინტერესების გამო იძულებულნი არიან აკრიტიკონ მათივე ხელშეწყობით ცეხცლითა და მახვილით დამკვიდრებული დემოკრატია.

ან იქნებ ჩვენ ვცდებით და ქართული საზოგადოების ერთ ნაწილში რეალურად დაიწყო საკუთარი შეცდომებისა და შეცოდებების გაცნობიერების პროცესი?!

იქნებ მართლაც ახლოვდება ის დრო, როდესაც ჭეშმარიტი აღსარების, მონანიებისა და განწმენდის გზით, საკუთარი გონებით გამოვაცხობთ სიბრძნის პურებს, ჭრილობებს დავუამებთ, დარღვეულს აღვუდგენთ, ვისწავლით მის ნამდვილ პატრონობას და ამაყად შევეგებებით მომავალს. იქნებ ძე შეცდომილი მზადაა დაუბრუნდეს თავის მშობელს და აღიაროს, რომ ამ ქვეყანაზე არაფერია სამშობლოზე ძვირფასი - არც სხვათა წყალობა, არც სხვათა აღიარება, არც სხვათა მიერ ხოტბაშესხმული ავტორიტეტი.

ეს და სხვა მრავალი კითხვა გვაწუხებს ჩვენც და ჩვენს მკითხველსაც ამ არეულ დროში, როდესაც ადამიანებთან ერთად კლავენ იმედებსაც, კლავენ რწმენას - ტყვიით, ქირქილით, ცინიზმით, უზნეობისა და სიბილწის შეუფარავი პროპაგანდით; შეგნებულად შლიან ზღვარს ბოროტებასა და სიკეთეს შორის, გახრწნილების მახინჯ გამოვლინებას ბუნებრივად და საინტერესოდ მიიჩნევენ, უნიჭო ბოდვას-ორიგინალობად, სადიზმსა და სისასტიკეს - პრინციპულობად; ლაჩარსა და მოღალატეს გმირის წოდებას ანიჭებენ, ხოლო პოლიტიკურ მეძავობას - დინამიკურ აზროვნებად ნათლავენ.

ამ ბაკქანალიის ჟამს, ჩვენს გაზეთს თავის მოვალეობად მიაჩნია არა უბრალოდ აკრიტიკოს საზოგადოების "ზოგიერთი შეცდომები", არამედ ძირის ძირში ჩაწვდეს დღევანდელი კატასტროფის სათავეს, გააანალიზოს შორეული თუ ახლო წარსული, არა უბრალოდ აფიქსიროს მიმდინარე მოვლენები, არამედ იკვლიოს მათი ჭეშმარიტი მიზეზები, ბუნება-თავისებურებანი, ამა თუ იმ ქმედებათა მოტივები. მაგრამ ყველაზე მთავარია, ჩვენს ღირსებააყრილ, დარბეულ, საკუთარ მიწას მონატრებულ ქართველობას მართალი სიტყვით დავუამოთ ჭრილობები, რწმენა აღვუდგინოთ და ნათელი გავხადოთ ყველასათვის - ვისაც არ სწამს ან ვინც ეჭვებმა სძლია, - რომ ჩვენს მიერ არჩეული გზა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისა, არც რომანტიკული ოცნება და არც ფანატიკოსთა ბოდვაა. ჩვენი მიზანი რეალურად მიღწევადია, რამეთუ ამ გზას აქვს თავისი იდეური საფუძველიც, პოლიტიკური სტრატეგია და ტაქტიკაც, ეკონომიკური წინაპირობაც, რაც მთავარია, ამ გზის ყოველი მონაკვეთი გასხივოსნებულია ქართველი ერის დაუმარცხებელი სულიერებით, მისი გმირული თავგანწირვით, თავისუფლების დაუოკებელი სურვილით.

# პროვოკაციების სერია საგამოძიებლო იზოლატორში

საზოგადოებისთვის ცნობილია, რომ “ზ. გამსახურდიასა და მის მომხრეთა საქმის“ მონაწილე 19 განსასჯელის სასამართლო პროცესი უკვე მეთერთმეტე თვეა მიმდინარეობს. სასამართლო ჯერ კიდევ ვერ გაცდა მოსამზადებელ ეტაპსა და საორგანიზაციო და დაცვის საკითხების მოგვარებას, ე.ი. პრაქტიკულად, “საქმის“ არსებითი განხილვა არც დაწყებულა. ხელისუფლება ცდილობს დააჩქაროს მისთვის სასურველი განაჩენის გამოტანა - ოფიციალური პრესით და ტელევიზიით წამდაუწუმ გაისმის მოწოდებები დაუსჯელი “ტერორისტებისა და ბანდიტების“ სასწრაფო და სამაგალითო დასჯისაკენ - ანუ, როგორც ამას "Human Rights Watch/H"-ის და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები აღნიშნავენ, პოლიტიკური ოპონენტების მიმართ ანგარიშსწორებისაკენ. მიუხედავად ასეთი პირდაპირი მითითებებისა და მოწოდებებისა, ხშირად უმაღლესი თანამდებობის პირებისგანაც, სასამართლო კოლეგია მირზა დოლიძის თავმჯდომარეობით (მსაჯულები კალაძე და ბუხნიკაშვილი) ვერ ახერხებს ხელისუფლებისთვის სასურველი ტემპითა და მიმართულებით სხდომების წარმართვას. აშკარაა, რომ ხელისუფლებას არ ძალუძს გაასამართლოს განსასჯელი პოლიტპატიმრები და მათ ძიების მიერ თავსმოხვეული ბრალდებები დაუდასტუროს. ვფიქრობთ, სწორედ ამითაა განპირობებული ამ ბოლო დროს გახშირებული პროვოკაციები აღნიშნული “საქმის“ მონაწილე განსასჯელების მიმართ. პროვოკაციების ახალი ტალღა მოჰყვა “ჰელსინკი ვოთჩის“ წარმომადგენელთა ვიზიტს თბილისში.

მიმდინარე წლის 18 ივლისს თბილისის საგამოძიებლო იზოლატორიდან მოხდა პატიმართა ჯგუფური გაქცევა. ჩვენ არ მოვყვებით ამ ე.წ. “გაქცევის“ ფაქტის აღწერას, შეგატყობინებთ მხოლოდ რამდენიმე დეტალს: “გაქცევის“ დროს ზოგიერთ პოლიტპატიმართა საკნებიც გახსნეს და მათ გაქცევა შესთავაზეს - რა თქმა უნდა, ამან შედეგი არ გამოიღო - პოლიტპატიმრები არ წამოეგნენ პროვოკაციას. “გაქცევის“ შემდეგ იზოლატორის ადმინისტრაცია თითქმის მთლიანად შეცვალეს - ათობით თანამშრომელი დააკავეს, მოხსნეს სამსახურიდან. საინტერესოა, რომ დაკავებულთა შორის პირველი იყო იზოლატორის უფროსის მოადგილე რეჟიმის დარგში - ალ. არახამია, რომელიც ციხის ყოფილი უფროსის - ვლ. ტაბალუას ოფიციალური ბრძანებით დანიშნული იყო “ზვიადისტების“ კურატორად. მალე მოიხსნა იზოლატორის უფროსიც, რომელიც პატიმრებისთვის და მათი ოჯახის წევრებისთვის, ცნობილი იყო როგორც პატიმართა პრობლემებისადმი ძალიან ყურადღებიანი ადამიანი (სწორედ ვლ.ტაბალუას დაჟინებული მოთხოვნით დაიწყეს პატიმართა მძიმე სოციალურ პირობებზე და მათი მდგომარეობის შემსუბუქებაზე საუბარი ადამიანის უფლებათა დაცვის საპარლამენტო კომისიაში). როგორც ჩანს, განურჩევლად ყველა პატიმრის მიმართ ლოიალური ადამიანი არ აწყობდათ გარკვეულ ძალებს - ის გაანთავისუფლეს თანამდებობიდან ყოველგვარი წინასწარი გაფრთხილებისა და შეტყობინების გარეშე. მის განთავისუფლებას დაემთხვა მორიგი პროვოკაცია პოლიტპატიმართა წინააღმდეგ: 3 აგვისტოს განსასჯელ ი.დოკვაძის საკანში შს სსსა სამმართველომ მოაწყო ჩხრეკა, რომლის შედეგადაც ამოღებულ იქნა რადიო და ტელე დეტალები (ყველასთვის ცნობილი იყო, რომ დოკვაძეს თავის საკანში, ციხის ადმინისტრაციის თანხმობით, მოწყობილი ჰქონდა სახელოსნო და იზოლატორის თანამშრომლები და პატიმრები ხშირად სარგებლობდნენ დოკვაძის, როგორც ტელე-რადიო ინჟინრისა და სპეციალისტის, დახმარებით) და ციხიდან გაქცევის “სქემა“, რომელიც რატომღაც არც ჩხრეკის ოქმში ყოფილა დაფიქსირებული და, როგორც შემდეგ გაირკვა, დოკვაძის საკანში საერთოდ არ იყო ნაპოვნი! როგორც ჩანს, ეს პროვოკაცია მორიგი “გაქცევის“ მცდელობის ასახსნელად არის საჭირო...

13 აგვისტოს, ანუ იმ დღეს, როდესაც "Human Rights Watch/H"-ისა და “მემორიალის“ წარმომადგენელთა პრესკონფერენცია მიმდინარეობდა, განსასჯელების - ვ.დომუხოვსკისა და ი.დოკვაძის საკნებში კიდევ ერთი ჩხრეკა ჩაატარეს შს სსსა სამმართველოს ინიციატივით. სამმართველოს ნიღბიანი “სპეცნაზის“ რაზმელთა განცხადებით,დოკვაძის საკანში ახლა უკვე იარაღს ეძებდნენ. სცადეს დომუხოვსკისთვის წაერთმიათ სასამართლოზე მისი დაცვისთვის აუცილებელი ჩანაწერები და დოკუმენტები, “ამოუღეს“ რადიომიმღები და საათი (რომელიც ჩხრეკის ოქმში არც არის დაფიქსირებული). დომუხოვსკის პროტესტით გაღიზიანებულმა სამმართველოს ოპერმუშაკმა - ვინმე დვალიშვილმა ხელკეტითა და ფეხებით სცემა პატიმარი, რის შედეგადაც დომუხოვსკის ტვინის შერყევის სიმპტომები აღენიშნება.

საფიქრალია, რომ ეს პროვოკაციები საერთაშორისო ორგანიზაციების (IGFM, "საერთაშორისო ამნისტია“, "Human Rights Watch/Helsinki", “მემორიალი“) მიერ პოლიტპატიმართა (და კონკრეტულად “პრეზიდენტის საქმის“ მონაწილე განსასჯელთა) უფლებების უხეში დარღვევების დაფიქსირებასა და ამ ორგანიზაციების მიერ საქართველოს ხელისუფლებისადმი გამოგზავნილ საპროტესტო მიმართვებს მოჰყვა. რადგანაც ამდენ ხანს ვერ მოხერხდა პოლიტიკური მოწინააღმდეგეების “ტერორისტებად“ და “ბანდიტებად“ მონათვლა, რაც ეჭვქვეშ აყენებს მთელი ამ ერთი წლის მანძილზე “წარმატებით გამოძიებულ საქმეს“, უმჯობესია საზოგადოებრივი აზრის შემდგომი შემზადება მათ წინააღმდეგ ან ამ “მკვლელების“ თავიდან მოცილება პროვოკაციებისა და, თუნდაც, მათი ლიკვიდაციის გზით!

დიახ, ადამიანის უფლებები სასტიკად ირღვევა დღევანდელ საქართველოში! ამას უკვე მსოფლიო საზოგადოებრიობაც აღიარებს და არავითარი გარანტია არ არსებობს არასასურველი და, “ჰელსინკი ვოთჩის“ ციტატა რომ ვიხმაროთ, “შევარდნაძის ხელისუფლების მიერ დევნილი ბრალდებულების“ ("Human Rights Wotch/H"-ის ანალიზი, გვ.2) სიცოცხლისა და უსაფრთხოების დასაცავად.

**ნინო ჩეჩელაშვილი**

## “ჰიუმან რაითს ვოთჩ/ჰელსინკის“ რეკომენდაციები

### მოსამართლე მირზა დოლიძეს

ამოღებულ იქნას საქმის მასალებიდან განსასჯელთა ყველა ის განცხადება, რომლის გამოყენებაც ნავარაუდევი იყო მათსავე წინააღმდეგ და რომელიც მოპოვებულ იქნა წამებისა თუ იძულების სხვა ხერხების გამოყენებით. ამგვარი განცხადებები შეიძლება განხილულ იქნას მხოლოდ როგორც წამებისა და იძულების სხვა ხერხების გამოყენების დამამტკიცებელი საბუთი. ანალოგიურად, ამოღებულ იქნას ბრალდების მასალებიდან ყველა ის დოკუმენტური თუ მატერიალური მტკიცებანი, რომელიც მოპოვებულ იქნა წამებისა თუ იძულების სხვა ხერხების გამოყენებით.

თუკი სასამართლო პროცესის მსვლელობისას გაირკვა, რომ განსასჯელებს დროულად არ ეცნობათ მათ მიმართ წაყენებულ ბრალდებათა შესახებ, დაისაჯონ ამაში დამნაშავენი, ხოლო განსასჯელებს აუნაზღაურდეთ ზარალი.

განსასჯელებს მიეცეთ იურიდიული დახმარების გარანტია მათი არჩევანის მიხედვით და საკმარისი დრო ადვოკატებისაგან კონსულტაციების მისაღებად, რათა მოემზადონ დაცვისათვის.

განსასჯელებისა და მათი დამცველებისათვის თანაბრად იქნას გარანტირებული საქმესთან დაკავშირებული ყველა ჩვენების დაუბრკოლებელი გაცნობა, ამ ჩვენებათა გაცნობისათვის საჭირო დრო, აგრეთვე მიეცეთ შესაძლებლობა წარმოადგინონ საკუთარი ჩვენებები და იშუამდგომლონ დაცვისთვის ჩვენებების მიცემის თაობაზე.

განსასჯელებს, რომლებიც სათანადოდ ვერ ფლობენ ქართულ ენას, მიეცეთ თარჯიმნის უსასყიდლოდ მომსახურების გარანტია.

განსასჯელებს მიეცეთ შესაძლებლობა გაიარონ საჭირო სამედიცინო ექსპერტიზა. განსასჯელები,რომელთა ჯანმრთელობა მიჩნეულია არადამაკმაყოფილებლად, უზრუნველყოფილ იქნან პროფესიონალ სამედიცინო სპეციალისტთა მომსახურებით.

## უფლებააყრილი საქართველო და საერთაშორისო ორგანიზაციები

1991-1992 წლების დეკემბერ-იანვრის სამხედრო გადატრიალების პირველივე დღეებიდან ადამიანის უფლებათა დაცვისთვის იღვწის საქართველოს ჰელსინკის კავშირის აქტივისტთა მოზრდილი ჯგუფი, რომელიც ამ თითქმის სამი წლის მანძილზე, დიდი რისკის ფასად თანამშრომლობს ადამიანის უფლებათა დამცავ საერთაშორისო ორგანიზაციებთან: ადამიანის უფლებათა საერთაშორისო საზოგადოებასთან (რომლის ასოცირებული წევრი ორგანიზაციაა ჰელსინკის კავშირი 1990 წლის 22 სექტემბრიდან), აშშ-ის ორგანიზაცია “ჰიუმან რაითს ვოთჩ ჰელსინკი“-სთან (ყოფ. “ჰელსინკი ვოთჩი“), პატიმრების უფლებების დამცავ საზოგადოება “ემნესთი ინტერნეიშნლ“-თან და ა.შ. აქტიურად ვთანამშრომლობთ აგრეთვე ფინეთის და დიდი ბრიტანეთის ჰელსინკის ჯგუფებთან, ფინეთის პარლამენტის საქართველოს ჯგუფთან, ჟურნალ “სოვიეტ ენელისტი“-ს რედაქციასთან (დიდი ბრიტანეთი), ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო საზოგადოების ეროვნულ სექციებთან (უპირველეს ყოვლისა - გერმანულ სექციასთან) და სხვ.

ადამიანის უფლებათა საერთაშორისო საზოგადოებაში მოქმედებს საქართველოს საგანგებო პროგრამა, რომელსაც უძღვება საზოგადოების გერმანული სექციის თავმჯდომარე, ქალბატონი ვანდა ვანზიდლერი. ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ ძირითადად საქართველოს ჰელსინკის კავშირის (კერძოდ-კავშირის ადამიანის უფლებათა კომისიისა და პრეს-ცენტრის) მიერ გაგზავნილი მასალების საფუძველზე მაინის ფრანკფურტში, გერმანულ ენაზე გამოცემულია სქელტანიანი კრებულები: “ადამიანის უფლებები საქართველოში 1992 წელს“, “ადამიანის უფლებები საქართველოში 1993 წელს“ და “ადამიანის უფლებები საქართველოში 1994 წლის იანვრიდან ივნისამდე“.

გარდა დასახელებული კრებულებისა, კავშირის მიერ გაგზავნილი მასალები მუდმივად ქვეყნდება ადამიანის უფლებათა საერთაშორისო საზოგადოების ჟურნალებში “მენშენრეჰთე“-სა და “ჰიუმან რაითს“-ში, აგრეთვე ბიულეტენში “ფურ დი მენშენ რეჰთე“. დავასახელებთ განსაკუთრებით მნიშვნელოვან პუბლიკაციებს:

წერილი ბ-ნ ვიქტორ დომუხოვსკის და ბ-ნ პეტრე გელბახიანის დაპატიმრების შესახებ (“მენშენრეჰთე“, 1993 წლის ივლის-აგვისტო, №4, გვ.30);

წერილი “ზაზა წიკლაური“ (იქვე, გვ. 33-34);

“მამა-შვილი გელბახიანები“ (იქვე, გვ.34)

წერილი საქართველოს საკითხის შესახებ ადამიანის უფლებათა საერთაშორისო საზოგადოების წლიურ კონფერენციაზე (“მენშენრეჰთე“, 1993 წლის მაის-ივნისი, №3);

წერილი “საქართველოში პუტჩს რეპრესიები მოჰყვება“ (ჟ. “ჰიუმან რაითს“, 1992 წლის მაისი, ტომი 2, ნომერი2, გვ.1-2);

“საქართველო: ზაზა წიკლაური“ (“მენშენრეჰთე“, 1993 წლის სექტემბერ-ოქტომბერი, №5, გვ.4);

“საქართველო: “ყვარლის საქმე“ (იქვე, გვ.23-24);

“როლანდ ლაკიას სიცოცხლე საფრთხეშია (იქვე, გვ. 28-29);

“საქართველოს ჰელსინკის კავშირი გვაუწყებს“ (“მენშენრეჰთე“, 1994 წლის იანვარ-თებერვალი, №1, გვ.14);

ბატონ ვიქტორ დომუხოვსკის წერილი (იქვე, გვ.26-27);

“საქართველო: პოლიტიკურ პატიმართა პროცესი“ (“მენშენრეჰთე“, 1994 წლის მარტი-ივნისი, გვ.40);

“საქართველო: ზაზა წიკლაური“ (იქვე, გვ.46);

“საქართველო: წამება რეჟიმის მოწინააღმდეგისა“ (ბ-ნ ზურაბ ბარძიმაშვილის შესახებ - “მენშენრეჰთე“, 1994 წლის მარტი-ივნისი, გვ.45);

“ათი წლით პატიმრობა“ (ბ-ნ გოდერძი სამუნაშვილის შესახებ) - (იქვე, გვ.45);

“საქართველო: ოქტომბრის შემოდგომა ხანმოკლე აღმოჩნდა“ (ადამიანის უფლებათა მდგომარეობის მიმოხილვა - ბიულეტენი “ფურ დი მენშენრეჰთე“, 1994 წლის მაისი-ივნისი, №3, გვ.1-2);

“საქართველო: ზაზა წიკლაური“ (“მენშერეჰთე“, 1992 წლის ნოემბერი-დეკემბერი, №6);

“პოლიტიკური პატიმრები საქართველოს რესპუბლიკაში“ (“ჰიუმან რაითს“, 1994 წლის მაისი, ტომი 4, №2, გვ. 12-13).

აქვე უნდა აღინიშნოს ის მრავალრიცხოვანი ცალკეული პრეს-რელიზები, რომლებსაც სისტემატურად გამოსცემს ადამიანის უფლებათა საერთაშორისო საზოგადოება. დავასახელებთ რამდენიმე მათგანს:

“პოლიტიკური პატიმრები საქართველოში“ (1993 წლის მაისი);

“მეცნიერ-მუშაკი სასტიკად იქნა ნაწამები“ (ბ-ნ ზაზა წიკლაურის შესახებ - 1993);

“ადამიანის უფლებათა დარღვევები საქართველოში“ (1992 წლის 24 მარტი);

“ადამიანის უფლებები საქართველოში“ (1993 წლის სექტემბერი);

“საქართველო 1993: “ყვარლის ტყის“ საქმე“ (1993 წლის სექტემბერი);

“არავითარი საფუძველი სიხარულისა: საქართველო დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან 3 წლის შემდეგ“ (1994 წლის 25 მაისი).

საქართველოს ჰელსინკის კავშირისა და პოლიტიკური პარტიების გაერთიანება “მრგვალი მაგიდა - თავისუფალი საქართველო“ - სთვის უაღრესად მნიშვნელოვანი იყო შეხვედრები და საუბრები ფინეთის და დიდი ბრიტანეთის ჰელსინკის ჯგუფების, ფინეთის პარლამენტის საქართველოს ჯგუფის წარმომადგენლებთან 1992 წლის ოქტომბერში. ამ ორგანიზაციათა საერთაშორისო დამკვირვებელნი ესწრებოდნენ შევარდნაძის “პარლამენტი“-ს 11 ოქტომბრის ფსევდოარჩევნებს. სწორედ მათ დააფიქსირეს ამ “არჩევნებზე“ მრავალრიცხოვანი უხეში დარღვევები. მნიშვნელოვანწილად ჩვენს მიერ მიწოდებულ მასალებს, აგრეთვე საკუთარ დაკვირვებებს ეფუძნება ფინეთის და დიდი ბრიტანეთის ჰელსინკის ჯგუფების მოხსენებები საქართველოში არსებული მდგომარეობის შესახებ, რომლებიც გამოქვეყნდა ჟურნალ “სოვიეტ ენელისტი“-ს (აშშ-დიდი ბრიტანეთი) 1993 წლის მე-9-10 გაერთიანებულ ნომერში.

1993 წელს ჰელსინკის კავშირის წარმომადგენლები, ადამიანის უფლებათა კერძო აქტივისტები, დევნილი ჟურნალისტები და ინტელიგენციის წარმომადგენელნი შეხვდნენ თბილისში სტუმრად მყოფ ადამიანის უფლებათა ერთ-ერთი ყველაზე ავტორიტეტული ორგანიზაციის “ჰუმან რაითს ვოთჩ ჰელსინკი“-ს აღმასრულებელი საბჭოს თავმჯდომარეს, პროფესორ ჯონათან ფენტონს (აშშ), რომელსაც თან ახლდა ამავე ორგანიზაციის მეცნიერ თანამშრომელი ქალბატონი რეჩელ დენბერი. აღსანიშნავია, რომ ამ უკანასკნელს და მოსკოვის ორგანიზაცია “მემორიალის“ წარმომადგენელს, ბ-ნ ლეონოვს ჩვენი წარმომადგენლები შეხვდნენ 1992 წელსაც. ბ-ნ ფენტონთან შეხვედრის შედეგები აისახა “ჰელსინკი ვოთჩ“-ის 1993 წ. წლიურ მოხსენებაში. 1992-1993 წლებში ადგილი ჰქონდა სხვა საყურადღებო შეხვედრებს ადამიანის უფლებათა საერთაშორისო საზოგადოების ექსპერტთან, ბ-ნ ანდრეას ერბერთან, ცნობილ კინოდოკუმენტალისტთან, ბ-ნ კრის ვენერთან, აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენლებთან, ფინელ პარლამენტარებთან.

მუდმივად ვხვდებოდით და ვხვდებით აშშ-ის საელჩოს, სხვა საელჩოთა პასუხისმგებელ წარმომადგენლებს.

1994 წელს უაღრესად მნიშვნელოვანი იყო შეხვედრები “ჰიუმან რაითს ვოთჩ ჰელსინკი“-ს წარმომადგენელთან, ქალბატონ ერიკა დეილისთან, რომლებსაც ადგილი ჰქონდა ა.წ. ივნის-ივლისში. ამ ორგანიზაციამ გამოსცა ვრცელი, უაღრესად ფასეული მოხსენება საქართველოში პოლიტპატიმრების მდგომარეობის შესახებ. სულ ახლახანს კი, თბილისში პრესკონფერენციის ჩატარების შემდეგ, ქ-ნმა დეილიმ ვრცელი სტატია გამოაქვეყნა ჟ. “ინდეპენდენტ“-ში, რომელშიც უმკაცრესი შეფასება მიეცა ფაქტობრივი რეჟიმის ანტიჰუმანურ, ანტიდემოკრატიულ მოღვაწეობას.

((გაგრძელება მე-7 გვ.)

# კონფერენცია “მრგვალი მაგიდის“ მოწვევით

25 აგვისტოს საზოგადოება “ცოდნის“ დარბაზში საქართველოს პოლიტიკურ პარტიათა და ორგანიზაციათა გაერთიანება “მრგვალი მაგიდა - თავისუფალი საქართველოს“ მოწვევით ჩატარდა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დაცვის პრინციპების შესახებ კონვენციაზე ხელისმომწერ ორგანიზაციათა კონფერენცია.

კონფერენეცია გახსნა გაერთიანება “მრგვალი მაგიდა - თავისუფალი საქართველოს“ ვიცე-სპიკერმა თენგიზ კიკაჩეიშვილმა. გააცნო საზოგადოებას კონფერენციის დღის წესრიგი, რომელიც სხვა დოკუმენტებთან ერთად შემუშავებულ იქნა კონვენციაზე ხელისმომწერი ორგანიზაციების მიერ საკონსულტაციო შეხვედრების შედეგად. შემდგომ ბ-ნი კიკაჩეიშვილი გამოვიდა შესავალი სიტყვით, სადაც მიმოიხილა საქართველოში შექმნილი ვითარება, განმარტა კონვენციის არსი, მიმდინარე კონფერენციის მიზნები და “მრგვალი მაგიდა-თავისუფალი საქართველოს“ პოზიცია რიგი საკითხების მიმართ.

“კონვენცია ჯერჯერობით მხოლოდ ისტორიული დოკუმენტია, - თქვა მან, - რომელიც ერთიანი ძალისხმევით უნდა გადაიქცეს გარკვეულ საპროგრამო დოკუმენტად, და რომელსაც ერთიანი ანტიიმპერიული ფრონტის შინაარსი უნდა ჰქონდეს.

ჩვენ გვესახება, რომ დოკუმენტის შექმნა ერთ-ერთი ეტაპია ბრძოლის პროცესისა, რომელიც საქართველოში კანონიერი ხელისუფლების აღდგენამდე მიგვიყვანს. აქ შეგახსენებთ საქართველოს პირველი პრეზიდენტის მიერ არაერთგზის გამოხატულ აზრს “მრგვალი მაგიდის“ გარეთ მდგარი პოლიტიკური პარტიებისა და ორგანიზაციებისადმი:

1. აღიარონ შევარდნაძის რეჟიმის უკანონობა. (ამის გამოხატულებაა კონვენცია).

2. იმოქმედონ ამ რეჟიმის მშვიდობიანად გასაუქმებლად (ამას შეძლებისდაგვარად უნდა მოემსახუროს დღევანდელი კონფერენცია).

3. სცნონ კანონიერი ხელისუფლება.

(ეს აქცენტირებულია კონვენციასთან ერთად გამოქვეყნებულ “მრგვალი მაგიდის“ განცხადებაში და ავლენს ჩვენს შეურყეველ პრინციპს).

უკანონო რეჟიმის გაუქმების შემდეგ, არც ფაქტობრივი, არც იურიდიული სხვა არანაირი ხელისუფლება არ შეიძლება არსებობდეს, გარდა კანონიერისა.

აქვე შეგახსენებთ, “მრგვალი მაგიდა“ კატეგორიულად უარყოფს კონვენტის იდეას, რადგან იგი გულისხმობს უკანონო ხელისუფლებასთან კანონიერის შერწყმას, ეს კი უკანონობის დაკანონებას ნიშნავს.“

დღის წესრიგის მეორე საკითხის გარშემო - საქართველოს ოკუპაცია-ანექსიის ფაქტის შეფასება - თანამოხსენებით გამოვიდნენ ნაციონალ-კონსერვატიული პარტიის თავმჯდომარე ბ-ნი ბეჟან ჯავახია, რომელმაც ისაუბრა ოკუპაცია-ანექსიის ფაქტის დამადასტურებელ ფაქტობრივ და იურიდიულ ასპექტებზე, და წმ. ილია მართლის საზოგადოების გამგეობის წევრი ბ-ნი ვახტანგ ცაგარეიშვილი, რომელმაც ეს საკითხი განიხილა საერთაშორისო სამართლის ნორმებთან მიმართებაში.

საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნების საკითხთან დაკავშირებით სიტყვით გამოვიდა სრულიად საქართველოს ეროვნულ-პოლიტიკური მოძრაობა “ჭყონდიდელის“ წარმომადგენელი ბ-ნი ჯემალ გამახარია, რომელმაც ყურადღება გაამახვილა დაკარგული ტერიტორიების - სამაჩაბლოს და აფხაზეთის დაბრუნების გზებსა და სამართლებრივ მექანიზმებზე.

“ - ვინაიდან კანონიერი ცენტრალური ხელისუფლების მოშლამ და კონსტიტუციის გაუქმებამ დაგვაკარგინა აფხაზეთ-სამაჩაბლო, სწორედ მათი აღდგენა შექმნის აუცილებელ წინაპირობას დაკარგული მიწების დასაბრუნებლად. საყოველთაოდ გაზიარებულია ის აზრი, რომ არსებული რეჟიმის პირობებში აფხაზეთ-სამაჩაბლოს დაბრუნება შეუძლებელია. არც ახალი არჩევნების ჩატარება მოგვცემს სასურველ შედეგს, რადგანაც, ჯერ ერთი, ახალი ხელისუფლებაც დღევანდელის სამართალმემკვიდრე, ანუ უკანონო იქნება და მეორე, - აფხაზეთ-სამაჩაბლოს დაბრუნებამდე ჩატარებული არჩევნებით დავაკანონებთ ამ ტერიტორიების დაკარგვას. იგივე მოხდება ტერიტორიული მთლიანობის აღდგენამდე ახალი კონსტიტუციის მიღების შემთხვევაში“.

შემდგომ იგი შეეხო კანონიერი ხელისუფლების აღდგენის შემდეგ ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლის ეტაპებს, პოლიტიკური და სამხედრო სტრატეგიის საკითხებს, ამ პრობლემების მოგვარებისას კავკასიური ფაქტორის მნიშვნელობას.

საქართველოსა და მთლიანად კავკასიის დასავლური ორიენტაციის შესახებ ისაუბრეს საქართველოს ხსნის მოძრაობა - “წინააღმდეგობის ფრონტის“ წარმომადგენელმა ბ-ნმა შოთა მალაშხიამ და ეროვნული ფრონტი-რადიკალური კავშირიდან, ბ-ნმა ბიძინა აფრასიძემ, რომელიც ხაზგასმით შეეხო ჩეჩნეთის რესპუბლიკა იჩქერიაში მიმდინარე პროცესებს, ჩეჩენი ხალხის გმირულ ბრძოლას თავისუფლებისათვის.

ბ-ნმა თემურ მდინარაძემ, მამულის ალორძინების საზოგადოების თავმჯდომარემ, ერთგვარად გადაუხვია დღის წესრიგის საკითხს და ფაქტობრივი ხელისუფლების სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური კურსის ანალიზის ნაცვლად ზოგადპოლიტიკურ და პარტიათა შორის ურთიერთობის საკითხებს შეეხო.

უკანონო რეჟიმის წინააღმდეგ მშვიდობიანი ბრძოლის მეთოდებისა და ფორმების შესახებ მოხსენებით გამოვიდა ჰელსინკის კავშირის წევრი აფხაზეთიდან, ბ-ნი ზურაბ კვარაცხელია. ამავე საკითხზე უნდა ესაუბრა დღის წესრიგის თანახმად ეროვნული სამართლიანობის ლიგის თავმჯდომარეს ბ-ნ გიორგი ხოშტარიას, მაგრამ იგი ასევე გაიტაცა ზოგადი პრინციპების თაობაზე მსჯელობამ და, შეიძლება ითქვას, ერთგვარად პოლემიკური ტონი შემოიტანა.

“მეც თანახმა ვარ კანონიერი ხელისუფლების მოსვლისა, - განაცხადა მან - თუმცა, ჩვენ შეიძლება სხვადასხვა აზრი გვქონდეს, თუ რა არის კანონიერი ხელისუფლება.“

ბ-ნი ხოშტარიას აზრით, “ერთიანობის მოთხოვნა თავად ხალხისგან მოდის, ხოლო ხალხი ბრძენია და, შეიძლება ითქვას, იგი წინ გვისწრებს კიდეც ამ მოთხოვნაში. მაგრამ ჩვენ უნდა გავიაზროთ რა უნდა დაედოს ამ ერთიანობას საფუძვლად“.

ამ თეზისმა გაოცება გამოიწვია რიგ დელეგატთა შორის, რომელთაც მიაჩნიათ, რომ ერთიანობის საფუძველი ყველასთვის ნათელი უნდა იყოს - კონვენციაში გაცხადებული პრინციპები და მათი ხორცშესხმისათვის ბრძოლა.

ეჭვიც კი გაჩნდა, ჰქონდა კი წაკითხული ბატონ ხოშტარიას კონვენციის ტექსტი, თუ მხოლოდ პოლიტიკური კონიუნქტურის მოსაზრებებით მოაწერა მას ხელი.

საქართველოს ჰელსინკის კავშირის სახელით ქ-ნმა ანა ჭავჭავაძემ ისაუბრა საერთაშორისო სამართალთან მიმართებაში საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისა და უზრუნველყოფის მექანიზმზე. მისი თქმით, 1991-92 წ.წ. პუტჩი ეს იყო თავისუფალი არჩევანის უფლების უხეში დარღვევა. კანონიერი ხელისუფლების აღდგენა წარმოადგენს საქართველოს მოსახლეობის საერთაშორისო სამართლით გარანტირებული უფლების დაცვას. მან შესთავაზა კონვენციაზე ხელის მომწერ ორგანიზაციებს, შემოუერთდნენ 1993 წელს ჰელსინკის კავშირის მიერ წამოწყებულ პლებისციტს, რომელზე ხელმოწერათა შეგროვება მოგვცემს რეალურ სურათს, თუ საქართველოს მოსახლეობის რა პროცენტმა არ მიიღო მონაწილეობა 1992 წლის 11 ოქტომბრის ე.წ. არჩევნებში, ან ამომრჩეველთა რა პროცენტი მონაწილეობდა არჩევნებში ტერორის შიშით. აგრეთვე მოუწოდა შეიკრიბოს სხვადასხვა ორგანიზაციების ხელთ არსებული მასალები, ციფრობრივი მონაცემები ამ უკანონო არჩევნებში დაშვებული დარღვევების შესახებ. “ეს იქნება ერთ-ერთი სამართლებრივი ნაბიჯი კონვენციის მოთხოვნათა პირველი პუნქტის - საქართველოში არსებული საოკუპაციო, უკანონო რეჟიმის გაუქმების განხორციელებისკენ,“ - თქვა მან.

ეროვნულ მოძრაობაში ახალგაზრდობის როლის შესახებ ისაუბრა პატრიოტთა ლიგის თავმჯდომარემ გიორგი ზაალიშვილმა.

დღის წესრიგის ბოლო საკითხი იყო საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ამოცანები მიმდინარე ეტაპზე, რომლის შესახებაც თეზისების სახით ისაუბრა ეროვნულ-პოლიტიკური მოძრაობა “საქართველოს გულის“ თავმჯდომარემ, ბ-ნმა კერძევაძემ. მოკლედ ამ თეზისების ჩამოყალიბება ამგვარად შეიძლება: ეროვნული მოძრაობის პრაგმატიზაცია, ინტელექტუალიზაცია, ეროვნულ პოზიციაზე მდგომი პოლიტიკური ძალების დიფერენციაცია, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სრული დემილიტარიზაცია და კოორდინაცია.

ამავე საკითხზე სიტყვით გამოვიდა ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის თავმჯდომარე, ბ-ნი ირაკლი წერეთელი, რომელმაც ზოგიერთი ეჭვების გამოთქმასთან ერთად განაცხადა, რომ ეთანხმება ყველა წამოწყებას, რაც ხელს შეუწყობს შევარდნაძის გადადგომას და პოლიტკური ასპარეზიდან წასვლას. ამის შემდეგ იგი ხელს არ შეუშლის კანონიერი ხელისუფლების აღდგენას, თუკი ქართველი ხალხი ამას მოინდომებს. “მთავარია წავიდეს შევარდნაძე და შემდეგ ყველაფერი გაადვილდება, ეს პარლამენტიც ამორფული გახდება; ახლა კი, ვინც იბრძოლებს, ის მოვა ხელისუფლებაში, ვინც დასთესს -ის მოიმკის. “გავინაწილოთ პასუხისმგებლობა, ფუნქციები, დავგეგმოთ კონკრეტული აქციები.“

თანხმობისა და ურთიერთგაგების საერთო ატმოსფეროს მიუხედავად, ბ-ნი ირაკლი წერეთლის გამოსვლამ მაინც დაბადა ზოგიერთი კითხვა. მაგალითად, გახდება კი ამორფული შევარდნაძის წასვლის შემთხვევაში ის ე.წ. პარლამენტი, რომლის რიგი წევრები შევარდნაძისავე მითითებით ბომბებს უშენდნენ კანონიერ უზენაეს საბჭოს, ხვრეტდნენ მშვიდობიან საპროტესტო მანიფესტაციებს, აოხრებდნენ სამეგრელოს, ხოლო მეორე ნაწილი - ან კვერს უკრავდა მათ ბარბაროსულ ქმედებას, ან “მრავალმნიშვნელოვნად“ დუმდა? მათ ხომ ერთხელ ეს უკვე გააკეთეს, რა შეუშლის ხელს, მეორედაც იგივე მოიმოქმედონ?

კონფერენციამ მიიღო რეზოლუცია და რიგი მიმართვები, კერძოდ:

- ქართველი ერისადმი;
- ჩეჩენი ხალხისადმი;
- კავკასიელი ხალხებისადმი;
- ყოფილი საბჭოთა კავშირის დამოუკიდებელი სახელმწიფოების, რესპუბლიკების, პოლიტიკური პარტიებისა და ორგანიზაციებისადმი.

კონფერენციას დაესწრო და მის დელეგატებს სიტყვით მიმართა საქართველოს ეროვნული გმირის მერაბ კოსტავას დედამ, ქალბატონმა ოლღა დემურიამ. დარბაზი ფეხზე ადგომითა და ხანგრძლივი ტაშით მიეგება ქ-ნ ოლღას, რომელსაც სწორედ ამ დღეს 79 წელი შეუსრულდა.

**მამუკა ტუსიშვილი**

დღევანდელი საქართველოს ზოგადპოლიტიკური სიტუაცია ხასიათდება რამდენიმე უმნიშვნელოვანესი ნეგატიური პარამეტრით, რომელიც საბოლოო ჯამში განსაზღვრავს საქართველოს სამართლებრივ, გეოპოლიტიკურ, საერთაშორისო, შიდაპოლიტიკურ, ეკონომიკურ და დემოგრაფიულ მდგომარეობას. არსებული რეალობისა და მიმდინარე პროცესების დეტალური ანალიზი ადასტურებს ქართული სახელმწიფოებრიობის სავალალო მდგომარეობას (მხოლოდ ფიქტიურ არსებობას), რაც “მრგვალი მაგიდისა“ და უზენაესი საბჭოს მიერ არაერთხელ იქნა დაფიქსირებული.

საქართველოს დღევანდელი გეოპოლიტიკური სტატუსის განსაზღვრისათვის სასურველია გათვალისწინებულ იქნას რუსულ--ქართულ ურთიერთობათა მთელი წინაისტორია და გაირკვეს: ა) განსხვავდება თუ არა დღევანდელი საქართველო გუბერნიებად დაყოფილი რუსული კოლონიისა და იძულებით გასაბჭოებული “საბჭოთა რესპუბლიკისგან“. გ) რით განსხვავდება ესენგური ინტეგრაციის პროცესი მონარქისტული “მიწათა შემოკრებისა“ და ბოლშევიკური “რევოლუციის ექსპორტის“ პროცესთაგან. გ) გააჩნია თუ არა დღევანდელ საქართველოს რესპუბლიკას სახელმწიფოებრიობის უმთავრესი მახასიათებლები და რა მიმართულებით არის მოსალოდნელი მათი ფორმირების (ან თანდათანობითი კარგვის) პროცესთა განვითარება.

ამ საკითხთა შეფასებისას ჩვენ ვეყრდნობით “მრგვალი მაგიდის“ 1994 წლის მემორანდუმსა და 1994 წლის პირველ აპრილს ქ. გროზნოში ჩატარებული უზენაესი საბჭოს სესიის განცხადებას “რუსეთის მიერ 1991-1994 წლებში საქართველოს რესპუბლიკის ოკუპაციის, ფაქტობრივი ანექსიისა და ქვეყანაში შექმნილი კატასტროფული მდგომარეობის შესახებ“.

უკანასკნელი წლების პოლიტიკურმა მოვლენებმა აშკარა გახადა, რომ “დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის“ ჩამოყალიბება წარმოადგენს სსრკ-ის მაგიერ ახალი მოდერნიზებული იმპერიის ფორმირების პროცესს, იმპერიისა, რომელმაც უნდა შეცვალოს და განაახლოს თავისუფლებისმოყვარე ხალხების წინააღმდეგ ძალისმიერი აგრესიის ძველი, კომუნისტური მექანიზმი.

საუკუნეთა სიღრმიდან მომდინარე საქართველოს სახელმწიფოებრიობა ქართველმა ერმა დაკარგა რუსეთის იმპერიის მიერ 1801 წელს საქართველოს სახელმწიფოებრიობის გაუქმებისა და ანექსიის შედეგად.

1921 წელს საბჭოთა რუსეთმა უხეშად დაარღვია საქართველო-რუსეთის 1920 წლის 7 მაისის სამშვიდობო ხელშეკრულება და შეიარაღებული აგრესიის გზით მოახდინა საქართველოს სახელმწიფოს ოკუპაცია, რასაც მოჰყვა ქვეყნის ფაქტობრივი ანექსია.

საერთაშორისო სამართლის თვალსაზრისით საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობა შეფასდა როგორც რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაცია და ფაქტობრივი ანექსია (აშშ-ის კონგრესის წარმომადგენელთა პალატა, მოხსენება №2684, 1954 წ. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს 1990 წლის 20 მარტის დადგენილება.)

მიუხედავად ბოლშევიკური რეჟიმის რეპრესიებისა, ქართველ ხალხს არ შეუწყვეტია ბრძოლა დამოუკიდებლობისთვის.

ვინაიდან საქართველოს სსრ უზენაესმა საბჭომ 1990 წ. მარტში რუსეთის მიერ 1921 წელს საქართველოს ოკუპაცია - ანექსიის ფაქტის აღიარებით თავისი თავი გამოაცხადა უკანონოდ, 1921 წლის თებერვალში საქართველოდან განდევნილი პარლამენტის სამართალმემკვიდრე ფაქტობრივად არ არსებობდა, ეროვნულ - განმათავისუფლებელმა მოძრაობამ აიძულა საქართველოს რესპუბლიკის იმდროინდელი ხელისუფლება დაენიშნა მრავალპარტიული არჩევნები, რათა მშვიდობიანი გზით მომხდარიყო კომუნისტური რეჟიმის დემონტაჟი. ამისთვის შეიქმნა ქვეყნის შიგნით არსებული პოლიტიკური პარტიებისაგან საარჩევნო კომისია (პარტიები საბჭოთა იუსტიციის სამინისტროში რეგისტრაციაში არ გატარებულა).

კონფერენციის მასალებიდან

# საქართველოს ოკუპაცია-ანექსიის ფაქტის შეფასება

ასევე სამართალმემკვიდრეობის განმტკიცების მიზნით 1991 წლის 31 მარტს ჩატარდა რეფერენდუმი შეკითხვით: "თანახმა ხართ თუ არა, აღდგეს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე?" საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას მხარი დაუჭირა ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის 89,7%-მა.

1991 წლის 9 აპრილს რეფერენდუმის შედეგების საფუძველზე საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ მიიღო სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი.

1991 წლის 26 მაისს საყოველთაო სახალხო არჩევნებით საქართველოს რესპუბლიკის პირველ პრეზიდენტად არჩეულ იქნა ეროვნულ - განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერი ზვიად გამსახურდია.

უზენაესმა საბჭომ ტოტალიტარული რეჟიმის სტრუქტურების დემოკრატიული სტრუქტურებით შეცვლის მიზნით გამოაცხადა გარდამავალი პერიოდი. მრავალპარტიული პრინციპებით ჩატარდა ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების არჩევნები, მოქმედ კონსტიტუციაში შეტანილ იქნა ძირეული ცვლილებები და დამატებები, რომლებიც საერთაშორისო სამართლის ნორმებზე დაყრდნობით უზრუნველყოფდნენ ქვეყანაში დემოკრატიის დამკვიდრებას. კონსტიტუციის თანდართულ განმარტებაში აღნიშნულია: "გარდამავალი პერიოდი დასრულებულად ჩაითვლება მაშინ, როდესაც საქართველოს სცნობენ სხვა სახელმწიფოები, საქართველოს რესპუბლიკა გახდება გაეროს წევრი სახელმწიფო და საოკუპაციო ჯარები დატოვებენ ჩვენს სამშობლოს".

საქართველოში დისლოცირებულ სსრკ-ის ჯარებს განესაზღვრათ საოკუპაციო ჯარების სტატუსი.

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა სრულიად შეესაბამებოდა გაეროს წესდებას, ჰელსინკისა და ვენის აქტებს, რომლებიც აღიარებენ და განამტკიცებენ ყველა ხალხის უფლებას დამოუკიდებლად განაგოს თავისი ქვეყნის ბედი.

1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმის შედეგებისა და 1991 წლის 9 აპრილის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის საფუძველზე, სსრკ-ის იურიდიულად გაუქმების შემდგომ საქართველო სხვადასხვა სახელმწიფოთა მიერ აღიარებულ იქნა, როგორც დამოუკიდებელი ქვეყანა. ამგვარად, მოახდინა რა კომუნისტური რეჟიმის ლიკვიდაცია, ეროვნულმა ხელისუფლებამ ძირითადად განახორციელა გარდამავალი პერიოდისათვის დასახული გეგმები და ქვეყნის ანექსიის შედეგების იურიდიული გაუქმება.

მას შემდეგ, რაც საქართველოში დაიწყო დამოუკიდებელი სახელმწიფოს აღმშენებლობის შეუქცევადი პროცესი, 1991 წლის დეკემბერში რუსეთის ნეოიმპერიალისტურმა ძალებმა ადგილობრივი კომუნისტურ-კრიმინალური ბანდების მონაწილეობით განახორციელა აგრესია საქართველოს რესპუბლიკის წინააღმდეგ. რუსეთის მხრიდან ინსპირაციისა და მისი ჯარების მონაწილეობის წესახებ უკვე მრავალჯერ აღინიშნა, როგორც პრესის ფურცლებზე, ასევე ოფიციოზთა მიერ თავიანთ გამონათქვამებში. ჩვენ მხოლოდ მოვიყვანთ ციტატებს გაზეთ "ივერია - ექსპრესში" გამოქვეყნებული სამხედრო ხუნტის საინფორმაციო-სადაზვერვო სამსახურის ყოფილი თავმჯდომარის, ირაკლი ბათიაშვილის სტატიიდან:

"დეკემბერ-იანვრის გადატრიალების ერთ-ერთი მთავარი და გადამწყვეტი ფაქტორი იყო რუსეთის და კერძოდ ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ხელმძღვანელობა, გენერალური შტაბის მთავარი სადაზვერვო სამმართველოს ამიერკავკასიის ქვედანაყოფი, რუსეთის საგარეო დაზვერვის სამსახური, ამიერკავკასიის ოლქის სამხედრო კონტრდაზვერვის ქვედანაყოფი და, რაც მთავარია, რუსეთის ხელისუფალნი და პოლიტიკოსები. როგორი იყო მათი როლი? 1. კონტაქტში იმყოფებოდნენ ქართველ "დემოკრატებთან", იდეოლოგიურად და მორალურად მათ მხარს უჭერდნენ; 2. მათ აამოქმედეს საქართველოში თავისი მრავალრიცხოვანი აგენტურის ქსელი საჭირო მიმართულებით; 3. ამიერკავკასიის სამხედრო ოლქმა მოამარაგა იარაღით სიგუა-კიტოვანი.

ჩვენი ოპოზიციონერები და აჯანყებული ინტელიგენციის წარმომადგენლები რეგულარულად დადიოდნენ მოსკოვში, სადაც ხვდებოდნენ სხვადასხვა პოლიტიკოსებს და სახელმწიფო პირებს - გ. ბურბულისს, ა. რუცკოის, ე. პრიმაკოვს, ე.შევარდნაძეს, ა. კოზირევს და სხვ.

ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის მხრიდან მთავარ ფიგურებს წარმოადგენდნენ გენერალი ბეპაევი და გენერალი ივანენკოვი

.... თბილისის ქუჩის ბრძოლების დროს რუსმა გაწვრთნილმა სამხედროებმა გარკვეულ ოპერაციებში მიიღეს მონაწილეობა, რუსეთის დაზვერვის ოფიცრები გაშინაურებული იყვნენ გვარდიასთან.

რაც შეეხება რუსეთის სპეცსამსახურს, ისინი უხვად იყვნენ ინტელიგენციის, ასევე პარტიათა, გვარდიისა და განსაკუთრებით "მხედრიონის" რიგებში" (მსგავსი ფაქტები დასტურდება ბეპაევის გამონათქვამებში, ასევე გ.ხაინდრავას განცხადებაში კიტოვანის შესახებ, შ.კვირაიას განცხადებაში ვ.კვარაცხელიას შესახებ. ასევე არსებობს დოკუმენტური მასალები, ვიდეოფირები, სადაც რუსი სამხედრო პირები აშკარად არიან დაფიქსირებული, როგორც "გასაბჭოებისას").

კანონიერი ხელისუფლების დამხობას მოჰყვა ჯერ "სამხედრო", ხოლო შემდგომ "სახელმწიფო საბჭოდ" წოდებული საოკუპაციო რეჟიმის მარიონეტული ხელისუფლების ჩამოყალიბება.

საქართველოს კანონიერმა ხელისუფლებამ დატოვა საქართველო და დღესაც ემიგრაციაში აგრძელებს მოღვაწეობას.

საქართველოს ოკუპაციის შედეგად გაუქმებულად იქნა გამოცხადებული კანონიერად არჩეული ყველა დონის ორგანოები, ხოლო მათი ადგილი (რევკომების ანალოგიურად) სახელმწიფო საბჭოს რწმუნებულებმა დაიკავეს. განახლდა "საბჭოთა" საქართველოს ძველი სტრუქტურები, გაუქმდა კონსტიტუცია, ქვეყანაში დისლოცირებულ რუსეთის საოკუპაციო ჯარებს შეეცვალათ სტატუსი, ფუნქციები, სამართლებრივი საფუძვლები და ქვეყანა წითელმა ტერორმა მოიცვა. ასეთ პირობებში, ანტიდემოკრატიული კანონების საფუძველზე, საბჭოთა არჩევნებისათვის დამახასიათებელი ფალსიფიკაციით, 1992 წლის II ოქტომბერს "ჩატარდა" პარლამენტის "მრავალპარტიული", ნეოკომუნისტური არჩევნები. არჩევნების წინა დღეებში დააპატიმრეს ათასობით მოქალაქე, მიღებული ზომების მიუხედავად, მოსახლეობის უდიდესმა ნაწილმა არჩევნებში მონაწილეობა არ მიიღო, მთელ რიგ რაიონებში არჩევნები საერთოდ არ ჩატარებულა. არჩევნებში დარღვევების შესახებ მიუთითებდა მოწვეულ საერთაშორისო ექსპერტთა მნიშვნელოვანი ნაწილიც (ბრიტანეთის ჰელსინკის ჯგუფი, ფინეთის პარლამენტის დელეგაცია). ძალაუფლება გადაეცა ე.წ. პარლამენტსა და სახელმწიფოს მეთაურს. ამ უკანაკნელისთვის მინიჭებულ უფლებებს ვერ შეედრება ვერც ერთი დიქტატორის უფლებები.

საოკუპაციო რეჟიმის დამკვიდრების შედეგად, მარიონეტული ხელისუფლების მხარდაჭერით (ტ. კულუმბეკოვის პოლიტპატიმრად აღიარება და გათავისუფლება) შეგნებულად გამწვავდა სსრკ-ის ხელმძღვანელობის მიერ პროვოცირებული კონფლიქტი შიდა ქართლში, რასაც მოჰყვა 1992 წლის 24 ივნისს დაგომისში შევარდნაძის მიერ რუსეთის პრეზიდენტ ელცინთან და ოსების წარმომადგენლებთან კაპიტულანტური შეთანხმების ხელმოწერა. ამ შეთანხმების შედეგად "სამშვიდობო მისიის სტატუსით" შენიღბულმა რუსეთის ჯარმა მოახდინა ამ ტერიტორიის ოკუპაცია და არსებითად მიმდინარეობს მისი საქართველოდან გამოყოფისთვის ფაქტობრივი და იურიდიული ბაზის შექმნა.

ე.შევარდნაძის მარიონეტულმა რეჟიმმა რუსეთის გეგმის შესაბამისად წამოიწყო პროვოკაციული ომი აფხაზეთში და იქ მოღალატეობრივი ქმედების შედეგად (რაც ქართველი ხალხისთვის გაცხადდააფხაზ სეპარატისტთა ლიდერთან ვ. არძინბასთან და ელცინთან დადებული ხელშეკრულებებით - 1992 წ. 3 სექტ., 14 მაისი, 1992 წ. 27 ივლისი) ხელი შეუწყო ამ მხარის ოკუპაციას რუსეთის მიერ, დაეხმარა აფხაზ სეპარატისტებს აფხაზეთის მთელი ქართული მოსახლეობის - 250 ათასი ადამიანის საკუთარი მიწიდან განდევნაში, ქართველთა მასობრივ ხოცვაში, უკანონო სეპარატისტული სტრუქტურების განმტკიცებაში.

წარუმატებელი ომის ვითარებაში, დასავლეთ საქართველოში მიმდინარე საბრძოლო მოქმედებების ფონზე, რამაც უკიდურესად მძიმე პირობებში ჩააგდო ადგილობრივი მოსახლეობა, რომელიც არ ეგუებოდა უკანონო ხელისუფლებას, ხალხის შეგნებაში ოფიციოზისაგან ინერგებოდა დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში გაწევრიანების გარდაუვალობა.

საქართველოს "დსთ"-ში შეყვანის მიზნით ე.შევარდნაძის რეჟიმის მიერ სიტუაციის წინასწარგანზრახული დამძიმება დაფიქსირებულია საქართვლოს ფაქტობრივი პარლამენტის დეპუტატთა მიმართვაში გაეროს, მსოფლიო ხალხებისა და პარლამენტებისადმი:

"1 მარტს წინ უსწრებდა საქართველოს ეკონომიკური რღვევისა და მრავალმხრივი დესტაბილიზაციის წელიწადნახევრიანი პროცესი, რომელიც... დიდწილად ხელოვნურად იყო შექმნილი და რომელშიც მონაწილეობდნენ საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების კომუნისტური და პროკომუნისტური უმაღლესი ეშელონები მოდერნიზირებულ რუსულ იმპერიაში საქართველოს შესვლის სტიმულირების მიზნით".

რუსეთის ნეოიმპერიალისტური ძალებისა და ხუნტის მიერ საქართველოში განხორციელებული სახელმწიფო გადატრიალების შედეგად იგნორირებული სახელმწიფო სუვერენიტეტისა და კანონიერების აღდგენისათვის ქართველი ერის ბრძოლას (1993 წ.) რუსეთის ხელმძღვანელობამ "შევარდნაძის თხოვნით" ფართომასშტაბიანი სამხედრო ოპერაციები დაუპირისპირა (რუსეთის შავი ზღვის ფლოტის 10 საბრძოლო - სადესანტო გემი, ქუთაისსა და ბათუმში დისლოცირებული დივიზიების სატანკო შენაერთები, ძერჟინსკის დივიზიისა და საჰაერო - სადესანტო დივიზიის ბატალიონები, რუსეთის არმიის სპეცდანიშნულების ნაწილები). რუსეთის ჯარების მონაწილეობა ამ ოპერაციებში აშშ-ის პრეზიდენტმა ბ-ნმა ქლინთონმაც აღიარა რუსეთის ტელევიზიით გამოსვლისას. საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას შეეწირა საქართველოს რესპუბლიკის პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას სიცოცხლე.

საქართველოს უზურპატორმა შევარდნაძემ ერთპიროვნულად, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აქტების ფუძემდებლური პრინციპების დარღვევით მოაწერა ხელი საქართველოს მიერთებას "დსთ"-სთან. შემდგომ თვით საოკუპაციო რეჟიმის მიერ დამკვიდრებული კანონების უხეში დარღვევით, ძალისმიერი ზეწოლით აიძულა უკანონო პარლამენტი 1994 წლის 1 მარტს მოეხდინა "დსთ"-სთან საქართველოს შეერთების რატიფიკაცია.

ზემოთ აღნიშნული გარიგებით ფაქტობრივად ისპობა და ილახება საქართველოს სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტი, ილახება მისი პოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესები. მათ საფუძველზე საქართველო განიხილება, როგორც რუსეთის იმპერიის სამხედრო, პოლიტიკური და ეკონომიკური სისტემის ნაწილი.

თვით ილია ჭავჭავაძის საზოგადოება, რომელიც დღიდან გადატრიალებისა წარმოადგენდა და ამჟამადაც წარმოადგენს უკანონო რეჟიმის ერთ-ერთ დასაყრდენს, წელს ჩატარებული თავისი პარტიის ყრილობის განცხადებაში სნგ-ის წესდების შესახებ მიუთითებს: "სნგ-ს წესდება შეიცავს პრინციპებს (ერთიანი მინისტრთა საბჭოები, ერთიანი საგარეო თუ საშინაო პოლიტიკა, ეკონომიკური თუ სხვა კანონმდებლობის უნიფიკაცია, კოლექტიური უშიშროება. "სნგ"-ს ეკონომიკური კავშირი კი ითვალისწინებს რუსეთის ფედერაციის ბანკისადმი რესპუბლიკების ბანკების პირდაპირ დაქვემდებარებას. რუსეთის ფედერაციის ბანკი განსაზღვრავს მათ ფულად - საკრედიტო პოლიტიკას), რაც შეუთავსებელია რეალურ დამოუკიდებლობასთან".

ასე რომ, როდესაც საქართველოს მართავს მარიონეტული საოკუპაციო რეჟიმი, არ არსებობს ქვეყნის ძირითადი კანონი - კონსტიტუცია, არ არსებობს თავდაცვის დამოუკიდებელი სტრუქტურა, საქართველოს საზღვრები მოქცეულია დსთ-ს, ანუ რუსეთის თავდაცვისა და სასაზღვრო სისტემაში, ზოგადად ერთიან სამხედრო სტრატეგიულ სივრცეში, ქვეყანაში განლაგებულია რუსეთის საოკუპაციო ჯარი, რომელსაც გააჩნია მოქმედების სრული თავისუფლება და რომელიც მოქმედებდა და მოქმედებს ქართველი ერის საზიანოდ, როდესაც არსებობს დსთ-ს ერთიანი უშიშროების სამსახური და სხვა ძალისმიერი სტრუქტურა, საქართველო მოქცეულია დსთ-ს საერთო ეკონომიკურ სივრცეში უფრო მჭიდრო ინტეგრაციის პერსპექტივით, ფაქტობრივად ერთიანი ფულად-საკრედიტო სისტემით და სხვა მნიშვნელოვანი პოლიტიკურ-ეკონომიკური შეზღუდვებით. ყოველივე ამის გამო, საერთაშორისო სამართლის პრინციპებიდან გამომდინარე სახეზეა საქართველოს ფაქტობრივი ოკუპაცია-ანექსია რუსეთის მოდერნიზებული იმპერიის მიერ.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამ რეალობის შესაცვლელად და საქართველოს ჭეშმარიტი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღსადგენად აუცილებელია:

1) გაუქმდეს საოკუპაციო მარიონეტული რეჟიმი;

2) რუსეთის საოკუპაციო ჯარი გაყვანილ იქნას საქართველოს ტერიტორიიდან;

3) აღდგეს კანონიერი ხელისუფლება, რომელიც Status quo-ს აღდგენის პრინციპზე დაყრდნობით, სამართლებრივი ვაკუუმის შევსების გზით შესძლებს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენასა და სტაბილიზაციის დამყარებას საერთაშორისო სამართლის ნორმების შესაბამისად.

მხოლოდ ეს პრინციპები შეიძლება იყოს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისა და ქვეყნის დემოკრატიული გზით განვითარების გარანტი.

**ბეჟან ჯავახია**

# თამაშები დემოკრატიის გარშემო

შევარდნაძე ზოგიერთებს ჯერ კიდევ სჭირდებათ.

შევარდნაძეს უკვე თითქმის ყველა აგინებს.

მაგრამ შევარდნაძის დღეს უკვე ალარავის სჯერა.

გვსურს თუ არა, ეს რეალობა განსაზღვრავს დღეს საქართველოში პოლიტიკურ ამინდს. ყველასათვის ნათელია, რომ დემოკრატობანას თამაში წაგებულია. ახლა მხოლოდ გასარკვევია ვინ წააგებს საკუთარ თავსაც. მდგომარეობას ის ართულებს, რომ სხეულის ეს მნიშვნელოვანი ატრიბუტი შეიძლება დაკარგო როგორც შევარდნაძის ამალაში ყოფნით, ისე მასთან დაპირისპირებით. ამიტომ ვირთხები ჩასაძირად განწირული გემიდან ჯერ არ გაქცეულან (ვინ იცის, ეს საზეიმო ცერემონია რამდენ ხანს გასტანს?!), მაგრამ უკვე მოუსვენრად გარბი-გამორბიან გემბანზე: ხან კაპიტანისა და მისი ამალის მამხილებელ განცხადებებს აკეთებენ, ხან კი დემეტრე თავდადებულის შარავანდედით მოსავენ უკვე ყოველმხრივ დისკრედიტირებულ პერსონას. ხოლო ეს უკანასკნელი, მაგიერ იმისა, გემს მიხედოს, ამ მსუნაგ ცხოველებს დასდევს და ემუქრება - შენ შაქრის ნატეხს ვერ მიიღებ, შენთვის კი ხაფანგი მაქვს გამზადებულიო.

დაახლოოებით ასეთია უკანასკნელი პერიოდის პოლიტიკურ მოვლენათა შედეგად მმართველ ელიტაში ძალთა განაწილების სურათი. დროის ამ მცირე მონაკვეთში პრესკონფერენციებისა და სენსაციური განცხადებების რაოდენობამ, უდავოდ, რეკორდულს მიაღწია. ოპოზიცია ბრალს სდებს კორუფციაში მმართველ აპარატს, ხოლო აპარატი - როგორც ოპოზიციას, ისე ზოგიერთ სრულიად არაოპოზიციონერ პირსაც და იქვე ამხელს მათ ნამდვილ ეროვნულ წარმომავლობას.

ამ და სხვა სკანდალური განცხადებების შედეგად, შევარდნაძე, თავდადებული შიმშილობითა და მასზე თავდასხმების გააქტიურებით მიღწეულ საგანგებო სესიაზე უზრუნველყოფს ოპოზიციის შესაშურ სიდინჯეს. ამ ვითარებაში ერთგვარ მანეიტრალებელ ფუნქციას კისრულობს გოგუაძე, რომლის მამობრივი ზრუნვა მოშიმშილე პარლამენტარზე სარიშვილის რისხვას იმსახურებს და აქვე კიდევ ერთ სენსაციას გვამცნობენ - გოგუაძე უფრო დიდ როლს თამაშობს, ვიდრე ერთი შეხედვით ჩანსო. საფიქრალია, რომ ახლო მომავალში სპიკერს ამ პოლიტიკურ თამაშში, ერთის მხრივ, მეხამრიდის, ხოლო მეორეს მხრივ - მაბალანსირებელი პერსონის როლი დაეკისრება, რასაც იგი მეტ-ნაკლებად თავსართმევდა ჯერ კიდევ 1988-89 წწ. თავისი საუნივერსიტეტო პრეს-კლუბით, და რასაც აშკარად ვერ გაართვა თავი რუსუდან ბერიძემ. ზოგადად კი ცრუ-ოპოზიციის ფუნქცია სრულიად ორგანულია ყველა საპარლამენტო და რიგი არასაპარლამენტო პარტიებისთვის.

მიუხედავად ამისა, აშკარაა, რომ არსებული რეჟიმის შიგნით აგორდა გავლენის სფეროთა გადანაწილების მორიგი ტალღა, მაგრამ როგორც გამოცდილება გვიჩვენებს, შაქრის ნატეხით დაჯილდოვებისა და გალიაში გამომწყვდევის პრეტენდენტთა გადანაცვლებით ჯამი არ შეიცვლება.

ამ ერთი წლის წინ დაახლოებით ასეთივე სპექტაკლი გათამაშდა თენგიზ კიტოვანის კოლორიტული ფიგურის გარშემო - ვითომდაც მას სხვებაზე დიდი ზიანი მოეტანოს აფხაზეთში წარმოებულ საომარ მოქმედებებში. შედეგად კი საბოლოო მარცხი ქართულმა მხარემ ახალგაზრდა, "ორიგინალურად მოაზროვნე" ყარყარაშვილის მინისტრობისას იწვნია. არ გასულა მცირე ხანი და სუკ-თან ურთიერთობების გარკვევის ფონზე ორმხრივი აფეთქებების შედეგად დავემშვიდობეთ ამ შავ ავლანელსაც, რომელიც ოდესღაც უზენაესი საბჭოს დანგრეული შენობის ადგილას ეკლესიის აშენებას გვპირდებოდა.

დღეს მით უფრო არავითარი მნიშვნელობა არა აქვს ვინ ვის დაიჭერს - მინისტრი კვირაია მონარქისტ ჟორჟოლიანს, თუ პირიქით. ზოგადქართული ტრაგედიის ფონზე, რომლის ფინალური სცენაც ჟენევაში გათამაშდება, თბილისური სენსაციები "ჭორ-ნიუსის" მასალად თუ გამოდგება. ჟენევაში კი საბოლოოდ გაცხადდება ის, რაც უკვე გადაწყდა კრემლისა და გაერო-ს კულუარებში: შეიქმნება თუ არა აფხაზეთის სახელმწიფო, რომელთანაც საქართველოს ამჟამინდელი მმართველი რეჟიმი გააფორმებს ხელშეკრულებას, - სამოკავშირეოს, ფედერაციულს, კონფედერაციულს - მნიშვნელობა არა აქვს. ქარ-

იდებლობის აღიარებას მხოლოდ დრო დასჭირდება. თანაც არც თუ დიდი დრო.

ამგვარია დასავლური ტიპის დემოკრატიისათვის სამწლიანი თავდადებული ბრძოლის რეალური შედეგი. ჩვენ კი ამ დროს პუტჩისა და ქართველთა გენოციდის იდეოლოგ-ინსპირატორები გვაშინებენ მოსალოდნელი სამოქალაქო ომით შევარდნაძის წინააღმდეგ მასობრივი გამოსვლების შემთხვევაში. გვაშინებენ, რომ მის გადაგომასა და საქართველოდან წასვლას აუცილებლად მოჰყვება სრული ქაოსი და გაუკითხაობა. გასარკვევია მხოლოდ ერთი ნიუანსი: ისეთივე განუკითხაობა იქნება, როგორიც მისმა ჩამოსვლამ მოიტანა, თუ კიდევ უფრო მეტი?

პარალელურად კი საზოგადოების უფრო მიამიტ ნაწილში ყოველმხრივ ინერგება აზრი, თითქოს შევარდნაძეს მალე მოაცილებენ, მოდის მესამე ძალა - კანდიდატურათა სპექტრი მრავალფეროვანია - და ყველაფერი უფრო გაადვილდება. ზოგნი ასახელებენ ამ დიადი მომენტის თარიღსაც: სექტემბრის ბოლო-ოქტომბრის დასაწყისი. დაახლოებით ამავე პერიოდისთვის ელის სახელმწიფო გადატრიალებას მაფიასთან მებრძოლი ეროვნულ-დემოკრატიული თემიდა და გვპირდება, რომ თუკი ეს მოხდა, იგი ძველებური თავდადებით შესთავაზებს შევარდნაძის აპოლოგეტებს ცენტრალურ პროსპექტზე დასასვენებლად ჩამოსხდომას (იხ. 14 სექტემბრის წარმოდგენა - დაიჩოქეთ, დაიჩოქეთ!)

რაშია საქმე: შევარდნაძე კიდევ ერთი პუტჩის ინსცენირებას ამზადებს, თუ მაღალ ეშელონებში მართლა უნდა ველოდოთ ფიგურათა ცვლილებას? ერთის მხრივ, იარაღიანი პუტჩი მისწრება იქნებოდა ღრმა კრიზისში მყოფი რეჟიმისთვის, რომლის ერთადერთ დამაჯერებელ არგუმენტს წარმოადგენს რუსის ძალა და იარაღი, მაგრამ ამ არგუმენტის გამოყენების ასპარეზი ბოლო დროს მაქსიმალურად შეიზღუდა. ამდენად, ურიგო არ იქნებოდა ძალისმიერი მოქმედებებისათვის სიტუაციის ხელოვნურად შექმნა. მეორეს მხრივ, - შესაძლო კატაკლიზმების პროპაგანდა შოკური თერაპიის ზემოქმედებას ახდენს ყველაზე ნერვიულ ოპოზიციონერებზეც კი: უმალ დარბაისელი გამომეტყველება და "კონსტრუქციული" აზრები უჩნდებათ. ესეც შანტაჟის თავისებური, კარგად ნაცადი მეთოდია, რომლითაც ჩვენს სამხრეთულ ტემპერამენტს ეფექტურად ანელებენ ჩრდილოეთის ქარები.

მაგრამ არსებობს მესამე მხარეც. ამ უჩვეულო რეკლამისა და ანტირეკლამის შენაცვლებით შექმნილი გაურკვევლობის ატმოსფერო საზოგადოებაში ჩინებულ კონფორმისტულ განწყობილებას ნერგავს და მათ, ვინც რეალურ ბერკეტებს ფლობს, სიტუაციის თავიანთი ინტერესების შესაბამისად მართვის საშუალებას აძლევს. ამგვარ ვითარებაში, ყველაზე დაუმორჩილებელნიც კი ადვილად მოსათვინიერებელნი ხდებიან, თანაც ისე, თავადაც რომ ვერ ამჩნევენ.

ფსიქოლოგიური ტესტი ხელმიწვდომითაა გათვლილი. შიშის სინდრომი უკვე აღარ მუშაობს, რამეთუ ყველა გრძნობს - დღეს ეს რეჟიმი ხელაღებით ველარ ისვრის. ამიტომ ამოქმედდა სხვა ფაქტორები: გაურკვევლობა, უიმედობა, უნდობლობა, სკეფსისი, მოლოდინი რაღაცის, რაც თავისთავად მოაგვარებს ყველაფერს.

ეროვნული მოძრაობის მთელი ისტორია დასტურია იმისა, რომ თავისით არასოდეს არაფერი ხდება, მით უმეტეს - არაფერი კარგი. ადამიანმა თავისი უნარის შესაბამისად ყოველწამიერ უნდა იღვაწოს, რათა დააჩქაროს ხელსაყრელი პირობების შექმნის პროცესი, ზუსტად განსაზღვროს საჭირო მომენტი და არ დაუშვას ამ პირობების გამოყენება ფარისეველთა მიერ. ცხადია, პიროვნული შესაძლებლობების მასშტაბები თანაბარი ვერ იქნება: ზოგის მცირეა, ზოგის-განუსაზღვრელად დიდი. მაგრამ მცირე განუყოფელია დიდისგან და ორივე ერთად - გამარჯვების საწინდარია. არსებითად ეს არ არის პოლიტიკური პრობლემა. ეს მრწამსის საკითხია: როგორ იცხოვრო - თავგანწირვით, თუ უბადრუკად. თავისუფლება კი თავგანწირვის გარეშე არ მოიპოვება.

ეს გზა გაიარა ილია ჭავჭავაძემ და მთელი თავისი ცხოვრებით შექმნა საქართველოსთვის ხელსაყრელი პირობები. ამ გზით იარეს ზვიად გამსახურდიამ და მერაბ კოსტავამ და მათ მიერვე შექმნილ პირობებში წარმართეს საერთო სახალხო მოძრაობა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღსადგენად, თუმცა, იმხანად უკვე დარაზმული იყო კომუნისტური ნომენკლატურაც და მის ლაქიობას შეჩვეული ინტელიგენციაც, რათა ტოტალიტარული სისტემის ბუნებრივი კრიზისი გარეგნული რეფორმაციით შეენიღბათ და 70-წლიანი სისხლიანი ტერორით მოპოვებული ძალაუფლება შეენარჩუნებინათ.

ჩვენ ყოველთვის გვარწმუნებდნენ და ახლაც ცდილობენ დაგვაჯერონ, თითქოს 80-იანი წლების ბოლოს "პერესტროიკად" წოდებული ცვლილებები პოლიტბიუროს გენიალურმა არქიტექტორებმა მოიტანეს. თუ რა დიდი ნიჭითაა დაჯილდოვებული ერთ-ერთი მათგანი - უკვე იხილა საქართველომ; ხოლო მეორე "პრარაბი" დღემდე კარდაკარ დადის, დოლარებს მათხოვრობს და "სოციალიზმის ადამიანურ სახეს" მისტირის. ეს უნიჭო პლაგიატორები ვერასოდეს შობდნენ არამცთუ ახალ იდეებს, არამედ ახალი ტერმინებიც კი ვერ შექმნეს: "პერესტროიკა", "უსკორენიე", "გლასტნოსტ" - ეს ყველაფერი ჯერ კიდევ ტროცკიზმთან ბრძოლისდროინდელი პერიოდიკიდან ამოკითხული სტალინური დემაგოგიის ატრიბუტებია, ხოლო მათი რეფორმა - საბჭოური ტოტალიტარიზმისა და რუსული იმპერიალიზმისათვის ჩვეული მორიგი მიმიკრია.

იმპერიის რღვევის პირობები შექნა დანაშაულებრივი, გახრწნილი რეჟიმის მიმართ პროტესტის ატმოსფერომ, რომელიც გარდაუვალს ხდიდა კრიზისს და აქედან გამომდინარე, ადრე თუ გვიან, იმპერია ან აფეთქდებოდა, ან თავად უნდა წასულიყო კომპრომისზე და დაეწყო რეფორმირება. იდეოლოგიური ფირნიშის შეცვლით დაწყებული ამ პროცესის ნამდვილ მიზანს წარმოადგენდა იმპერიის შენარჩუნება, ხოლო შემდეგ - მოდერნიზება, და არა დაშლა. ეს მიზანი იმთავითვე ნათლად იკვეთებოდა არა მხოლოდ მმართველი ნომენკლატურის მანევრებში, არამედ ოპოზიციის, და თვით ისეთი დისიდენტის ნააზრევში, როგორიც იყო ანდრეი სახაროვი.

სსრკ კონსტიტუციის სახაროვისეულ პროექტსა თუ ცალკეულ სტატიებში ყოველგვარი ორაზროვნების გარეშე ჩანდა, რომ მოყირჭებულ კომუნისტურ იდეოლოგიაზე უარის თქმისა და კაპიტალისტურ საზოგადოებრივ ურთიერთობებზე გადასვლასთან ერთად, ცნობილი აკადემიკოსი განსაკუთრებით ზრუნავდა თავად იმპერიის შენარჩუნებაზე. მეტიც: მისი პროექტი ითვალისწინებდა უკვე არსებული, გვარიანად შერყეული და ახალი იდეოლოგიური პროპაგანდის პირობებში დასაშლელად განწირული იმპერიული სტრუქტურის შეცვლას უფრო საიმედო სისტემით, რომლის საფუძველშიც ფედერაციის სახელით შენიღბული გუბერნიული პრინციპი იკითხება. ამას ემსახურებოდა სსრკ-ს შემადგენელი რესპუბლიკების შტატისმაგვარ 80 სუბიექტად გარდაქმნისა და აშშ-ს მსგავსად ერთიან ძლიერ ცენტრს დაქვემდებარების იდეა; აგრეთვე ცნობილი ფორმულა - საქართველო მცირე იმპერიაა და იგი მინიმუმ სამ სუბიექტად უნდა დაიშალოს.

შედეგი სახეზეა. შეიძლება ითქვას, ელცინის რუსეთი შესაშური სიზუსტით ასრულებს სახაროვის ანდერძს და მას საქართველოს სუბიექტებად დაშლის საქმეში თავგამოდებით ეხმარებიან "გერმანიის გამაერთიანებელი დიდი პოლიტიკოსი" და იანაევის ოქმებზე მონადირე ქართველი "დემოკრატები".

გარდატეხა, რომელიც 1989 წელს მოახდინა საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ, სსრკ-ს ტერიტორიაზე განვითარებულ მოვლენებში პრინციპულ ხასიათს ატარებდა. ასევე პრინციპული იყო ქართული პრეცედენტების სერიალი: პირველი მრავალპარტიული არჩევნები, ამ არჩევნებში ეროვნული ძალების გამარჯვება, ე.წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გაუქმება (რისი იურიდიული უფლებაც მოქმედი კონსტიტუციით საქართველოს ხელისუფლებას ჰქონდა და ეს აღიარა თავად ელცინმა ყაზბეგში ხელმოწერილი დოკუმენტით), საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა, საქართველოში არსებული სსრკ ჯარებისათვის საოკუპაციო სტატუსის მინიჭება, ზოგადი კანონმდებლობის ჰუმანიზაცია და სხვ.

იმპერიულმა ჯაჭვმა სწორედ აქ, საქართველოში დაიწყო რღვევა 1989 წლის 9 აპრილის შემდეგ და სახელმწიფოებრივი პოლიტიკის რანგში აყვანილი ჩვენი განმათავისუფლებელი მოძრაობა სხვებსაც უადვილებდა ამ გზით სიარულს.

სწორედ ამიტომ, ასევე პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდა 1991-92 წ.წ. პუტჩის ინსპირირებასა და საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას განდევნას, რამეთუ მხოლოდ ამ გზით იყო შესაძლებელი სისტემის რღვევის შეჩერება.

იმპერიის აღდგენის პროცესიც საქართველოდან დაიწყო. აქ შემუშავდა მარიონეტული რეჟიმების დანერგვის ყველაზე ბინძური ვარიანტი, სამაგიეროდ უკვე არსებულ მაგალითზე სხვაგან ეს სცენარი უფრო "სუფთად" გათამაშდა (აზერბაიჯანი, ტაჯიკეთი და სხვ.). აქ შემუშავდა სსრკ-ს ყოფილი სუბიექტების ტერიტორიულად დაშლის იურიდიული მექანიზმებიც შიდა ქართლისა და აფხაზეთის კონფლიქტებთან დაკავშირებით ხელმოწერილი დოკუმენტების სახით, რომლებიც ამიერიდან კლასიკური მოდელი გახდება რუსეთისათვის სხვა ქვეყნებთან მსგავსი საკითხების მოგვარებისას. საერთოდ აფხაზური სცენარიომის დაწყებით, წარმართვით, შევარდნაძე-არძინბა-ელცინის მოლაპარაკებებით, შეთანხმებებით, რუსეთის სამშვიდობო ჯარების ჩართვით, გაერო-ს როლით - ახალი რუსული იმპერიალიზმის კლასიკური სახეა.

და ყველაფერი ეს მოხდა აქ - საქართველოში, არა იმიტომ, რომ ჩვენ ან სხვებზე უარესები ვართ, ან სხვებზე უკეთესები, არამედ იმიტომ, რომ ჩვენზე - საქართველოზე, რეალურად ბევრი რამ არის დამოკიდებული. ჯერ კიდევ არის კავკასია კვლავ რჩება რუსეთის აქილევსის ქუსლად და ჩვენ ჯერ კიდევ შეგვიძლია შევქმნათ ხელსაყრელი პირობები თავისუფლებისთვის. ჩვენ გვაქვს ამგვარი მშვიდობიანი ბრძოლის გამოცდილება, გვაქვს მორალური და სამართლებრივი პრინციპები და გვყავს მოკავშირენი, რომელნიც სწორედ დღეს იბრძვიან აქ, კავკასიაში - მათთვის გაცილებით არასახარბიელო პირობების მიუხედავად.

ანა ჭავჭავაძე

## სენატორი დეკონსინი ჯაბა იოსელიანის წინააღმდეგ

"ბატონო პრეზიდენტო! ისინი, ვინც ცოტათი მაინც იცნობენ საქართველოს, განცვიფრებულნი და აღფრთოვანებულნი არიან მისი ბუნების სილამაზით, ლეგენდარული სტუმართმოყვარეობითა და კულტურით. შესაძლოა ამერიკელებმა არც კი იციან, რომ ყოფილ საბჭოთა კავშირში ქართული ფილმები განსაკუთრებული რეპუტაციით სარგებლობდა, ნებისმიერ ჟანრში დახვეწილი ხელოვნებით იყო გადაღებული. ახლა კი მსურს ჩემს კოლეგებს გავუზიარო ინფორმაცია საქართველოში ამჟამინდელ სიტუაციაზე, რომელიც შორს სცდება ქართული კინემატოგრაფის შესაძლებლობებსაც კი.

საქართველოს მძიმე დღეები დაუდგა. საბჭოთა კავშირის დამხობის შემდგომ ეს ქვეყან გადტრილებების და სამოქალაქო ომების პირობებში ცხოვრობდა. აფხაზებთან მოკავშირე რუსების ძალების მეშვეობით ქვეყანა ტერიტორიულად დანაწევრდა, ეკონომიკურად დაქვეითდა და დღეს აფხაზეთიდან გაქცეული 200 000 ლტოლვილი უაღრესად მძიმე პირობებში ცხოვრობს. საქართველო, ისევე როგორც სხვა ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკები, ბოროტმოქმედებათა ჭაობშია ჩაფლული.

ივნისში რუსეთის პრეზიდენტმა ბორის ელცინმა კონტროვერსული დეკრეტი გამოსცა დამნაშავეობასთან ბრძოლის თაობაზე, რომელიც ზოგიერთმა მეზობელმა ქვეყანამ, მაგალითად, უკრაინამ ზოგიერთი კორექტივების შეტანით მოდელად გამოიყენა.

14 ივლისს საქართველოს ლიდერმა ედუარდ შევარდნაძემაც მიბაძა მას და განაცხადა, რომ რესპუბლიკაში კრიმინალური სიტუაცია კვლავ მეტად სერიოზულია. კორუფცია, ტერორიზმი, ბანდიტიზმი და ორგანიზებული დამნაშავეობის ბევრი სხვა ასპექტი უნდა აღმოიფხვრას, და რომ ნარკობიზნესი სერიოზულ საფრთხეს უქმნის საქართველოს.

ბოროტმოქმედების წინააღმდეგ ბრძოლის ერთ-ერთი ზომაა საქართველოში კოორდინირებული საგანგებო კომისიის ჩამოყალიბება, რომელსაც ედუარდ შევარდნაძე ხელმძღვანელობს. გაზეთ "საქართველოს რესპუბლიკის" 14 ივლისის ნომერში გამოქვეყნებულია ამ კომისიის წევრთა სია, რომლის მიხედვით ნათელი ხდება, რომ ბატონი შევარდნაძის ორი მოადგილედან ერთი ჯაბა იოსელიანი გახლავთ. იმ ამერიკელებს, რომლებიც ამ პიროვნებას ნაკლებად იცნობენ, ვურჩევ წაიკითხონ ინგლისში გამომავალი გაზეთის "სანდი რევიუს" 3 აპრილის ნომერი. ამ სტატიის მიხედვით ბატონი იოსელიანი გვევლინება როგორც აფხაზეთის საკითხებში მთავარი მოთათბირე, საქართველოს პარლამენტის წევრი, ნახევრადგასამხედროებული შეიარაღებული დაჯგუფების "მხედრიონის" ლიდერი. "მხედრიონისა", რომელმაც მოროდიორობა ჩაიდინა ქვეყანაში, ახლა კი მრავალ ბიზნესს აკონტროლებს. სტატიის ავტორი წერს, რომ მხედრიონი საქართველოში არსებული ბიზნესისა და რეკეტის ყველა საქმეებშია გარეული. ახალგაზრდობაში ჯაბა იოსელიანი იყო ერთ-ერთი საბჭოთა იატაკქვეშეთის 20 ყველაზე უფლებამოსილ პიროვნებათა შორის. ავტორი ასევე წერს, რომ ჯაბა იოსელიანს განსაკუთრებული თავისებური ხიბლი აქვს და საქართველოში ბევრი თაყვანისმცემელი ჰყავს. ზოგი მას მამაცად და პატრიოტად მიიჩნევს.

იმის გამო, რომ პირადად არ ვიცნობ ჯაბა იოსელიანს, ვერაფერს დავამატებ ზემოთ ჩამოთვლილს, მაგრამ ის კი ვიცი, რომ ჯაბა იოსელიანის დანიშვნა დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის საგანგებო კომისიის თავმჯდომარის მოადგილედ, მხოლოდ მელიის საქათმეში შეშვებას როდი ნიშნავს; ეს უბრალოდ მთავრობისა და სამართალდამცავი ორგანოების ფუნქციების მასხრად აგდებაა და სხვა არაფერი. ეს სილის გაწნაა ქართველი ხალხისთვის, რომელიც ომისა და კრიმინოგენური ელემენტების მიმართ შიშის პირობებში ცხოვრობს.

და თუ ეს ასეა, ბატონო პრეზიდენტო, ჩვენ უფრო მეტი სიფრთხილის გამოჩენა გვმართებს, ვინემ აქამდე ვიჩენდით შევარდნაძის რეჟიმის მხარდაჭერაში. შესაძლებელია მას სხვა გზა არა აქვს, თუ არა კავშირში იყოს ბატონ იოსელიანთან, მაგრამ განა შეერთებულმა შტატებმა მხარი უნდა დაუჭიროს ასეთ მთავრობას?

პატივისცემით,

სენატორი დენის დეკონსინი"

*რადიოსადგური "ამერიკის ხმა", 25 აგვისტო, 1994 წელი*

*(სტილი დაცულია)*

---

ამას წინათ ამერიკის შეერთებულ შტატებში გაკეთდა სენატორ დენის დეკონსინის განცხადება კონგრესისა და პრეზიდენტისადმი. ბ-ნი დეკონსინი ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის კომისიის თავმჯდომარეა, ასევე ხელმძღვანელობს სენატის დაზვერვის კომიტეტს. იგი მეტად გავლენიანი ფიგურაა აშშ-ს პოლიტიკურ წრეებში. ასე რომ, როგორც აღნიშნავენ რიგი დასავლეთელი პოლიტოლოგები, მის ამ განცხადებას შეიძლება მოჰყვეს აქცენტების შეცვლა ამერიკა-საქართველოს ურთიერთობაში. მაიკლ ოქსის თქმით, როდესაც ბატონი დეკონსინის ყურამდე მივიდა ცნობა საქართველოში დამნაშავეობასთან ბრძოლის საგანგებო კომისიის ჩამოყალიბებისა და მის ვიცე-თავმჯდომარედ ჯაბა იოსელიანის დანიშვნის შესახებ, მან მოისურვა კონგრესში დაფიქსირებულიყო განცხადება, რომელშიც იგი გამოხატავდა, თუ რაოდენ შეუსაბამოა ჯაბა იოსელიანის წევრობა ამ კომისიაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ისინი სიცოცხლეს გაწირავენ

"ჩეჩნეთის დედაქალაქ გროზნოს ცენტრალურ მოედანზე მიმდინარეობს პრეზიდენტ დუდაევის მხარდამჭერი მიტინგი. ვრცელი მოედანი ხალხს ვერ იტევს. ეს არის ჩეჩნეთის სუვერენიტეტის დაცვის მხარდამჭერი საერთო ეროვნული მიტინგი. უკვე მესამედ სრულდება წმინდა ცეკვა. ამით ხალხი ამჟღავნებს მზადყოფნას თავი გაწიროს თავისუფლებისათვის. ხალხთან გამოვიდა რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი მთელი შემადგენლობით, შემდეგ კი - პრეზიდენტი ჯოხარ დუდაევიც.

" - თუ კი ოპოზიცია თვითონვე არ დაიწყნარებს თავს, ჩვენ მოვძებნით საშუალებებს მათ დასაწყნარებლად."- განაცხადა მან.

" - ვიღებთ რა საკუთარ თავზე პასუხს, წმინდა ომის აღთქმას, ვფიცავთ, სისხლის უკანასკნელ წვეთამდე დავიცვათ ხალხის მიერ არჩეული პრეზიდენტი და ჩეჩნეთის რესპუბლიკის დამოუკიდებლობა." - ასეთი ფიცი დადეს ჩეჩნეთის სახელმწიფო უშიშროების დეპარტამენტის სპეციალური დანიშნულების პოლკის მებრძოლებმა.

გროზნის ცენტრალურ მოედანზე თავმოყრილი მებრძოლები ერთმანეთს ეფიცებიან, რომ არც ერთი ნაბიჯით არ დასთმობენ ჩეჩნეთის სუვერენიტეტის დაცვის იდეას. ამ ხალხის შემყურე, აშკარად ვგრძნობ, რომ ამ იდეისათვის ისინი ყველაფერზე წავლენ, საკუთარ სიცოცხლესაც გაწირავენ.

რადიოსადგური "თავისუფლება"
25 აგვისტო, 22.00 საათი
სპეციალური კორესპონდენტი ალექსანდრე ევტუშენკო
პიატიგორსკიდან

## ლევ ტოლსტოი

რუსების მიერ დარბეული და გავერანებული აული სწორედ ის სოფელი იყო, სადაც ჰაჯი-მურატმა ღამე გაათია ვიდრე რუსებზე გავიდოდა.

სადო, ვისთანაც ჰაჯი-მურატი ჩერდებოდა ხოლმე, რაკიღა აულს რუსები უახლოვდებოდნენ, ოჯახიანად მთაში წასასვლელად ემზადებოდა. შინ დაბრუნებულს სახლი დანგრეული დახვდა: სახურავი ჩაქცეული, კარი და ბანის ბოძები ჩაფერფლილი, კერა შებილწული. მისი შვილი, ის ლამაზი, თვალნათელი ბიჭუნა, ასეთის აღფრთოვანებით რომ შესცქეროდა ჰაჯი-მურატს, ნაბადგადაფარებული ცხენით მოასვენეს მეჩეთთან, ბავშვს ხიშტი ზურგში ჰქონდა ჩაცემული. თავდაჭერილი, სათნო მანდილოსანი, რომელიც სუფრას ემსახურებოდა ჰაჯი-მურატის სტუმრობისას, ახლა თმაგაშლილი დასდგომოდა შვილის ცხედარს. მობერებულ, მომჩვარულ მკერდზე პერანგჩამოხეული სახეს იხოკავდა, დაჭრილი ნადირივით ღრიალებდა. სადომ წერაქვი და ბარი მოიძია და ნათესავების თანხლებით შვილისთვის საფლავის გასათხრელად წავიდა. მოხუცი პაპა, რომელიც სულ ახლახან მობრუნებულიყო თავისი საფუტკრედან, ჩამოქცეული სახლის კედელთან იჯდა, ჩხირს ჩორკნიდა და უაზროდ გასცქეროდა სივრცეს. თივის ორი ზვინი გადაეწვათ რუსებს საფუტკრეში, მისი ხელით დარგული და ნასათუთები ჭერამისა და ალუბლის ხეები ჩაელეწჩაენაცრათ და, რაც მთავარია, ფუტკრის სკები სულ ერთიანად ჩაებუგათ ცეცხლში. სახლებიდან დედაკაცების ვაი-ვიში ისმოდა, გოდებდა მოედანიც, სადაც კიდევ ორი გვამი მიასვენეს. პატარები დედებთან ერთად ბღაოდნენ, დამშეული საქონელიც გულსაკლავად ღმუოდა. მოზრდილ ბავშვებს თამაშის ხალისი დაეკარგათ და დაფეთებული თვალებით შესცქეროდნენ უფროსებს.

შადრევანი საგანგებოდ ისე წაერყვნათ, წყლით სარგებლობა შეუძლებელი რომ ყოფილიყო, მოლა მუთალიმებთან ერთად ასევე შერყვნილ და შეგინებულ მეჩეთს ასუფთავებდა.

მოედანზე თავშეყრილი უხუცესები ჩაცუცქულნი ბჭობდნენ თავიანთ მდგომარეობაზე. რუსებისადმი სიძულვილზე არას ამბობდნენ, რადგან გრძნობა, რომელსაც ერთიანად შეეპყრო ყველა ჩეჩენი, ჩვილიდან ვიდრე ღრმად მოხუცამდე, სიძულვილზე გაცილებით ძლიერი გახლდათ, ეს სიძულვილი კი არა, ამ რუსი ძაღლების არაადამიანებად შეცნობის შემაძრწუნებელი გრძნობა იყო აღრეული უკიდურეს ზიზღსა და გაოგნებასთან, რაც ამ გაურკვეველ არსებათა უაზრო, ძრნახულ სისასტიკეს ეშვა. და რა გასაკვირია, რომ ნდომა მათი მოსრვისა იმგვარადვე ბუნებრივი ყოფილიყო, როგორც, ვთქვათ, სურვილი ვირთხების, შხამიანი ობობების და მგლების გაჟლეტისა ან თავის გადარჩენისა.

არჩევანის წინაშე დადგა მოსახლეობა: რა ექნათ - აულში დარჩენილიყვნენ, დიდის ძალისხმევითა და გარჯით მოპოვებული და ასე ერთი ხელის დაკვრით, ულმერთოდ განადგურებული აღედგინათ და დღენიადაგ იგივეს მოლოდინში ყოფილიყვნენ, თუ რელიგიური მრწამსის საწინააღმდეგოდ და რუსების მიმართ გულის ამრევი ზიზღისა და სიძულვილის მიუხედავად თავი წაეხარათ მათთვის.

ლოცვა აღავლინეს უხუცესებმა, დახმარების სათხოვნელად შამილთან ელჩების გაგზავნა ერთხმად გადაწყვიტეს და იავარქმნილის აღდგენას შეუდგნენ.

"ჰაჯი მურატი"

## ალექსანდრე ყაზბეგი

საზოგადოდ "გურჯეთის ხაბარზედ" [illegible] ტყობა ისე უნდოდათ.

ხალხში აშკარადა სცოცხლებდა ამ ხალხთან მეზობლობის რწმუნება, უყურებდა გურჯებს, როგორც რაღაც მოძრავს ძალად, რომლის ბედ-იღბალიც თითქოს ენათესავებოდა ამ სიკეთით სავსე ხალხის ცხოვრებას.

თქვენ ვერა ნახავდით ჩეჩნის სოფლებში ისეთ გალექებულს დამთვრალს ხალხს, როგორც რუსის ყაზახებს, რომელიც დილით საღამომდე დღეს ატარებდნენ დუქნებში, სადაც ყაზახები არამც თუ თავიანთ საცხოვრებელს ჰლუპავენ, არამედ ჰყიდიან თავის ტანისამოსს და ბევრჯელ ცოლებსა და ქალებსაც კი აშიშვლებენ და თავის გალოთებულს მუცელს აკმაყოფილებდნენ. თქვენ ვერა ნახავდით ჩეჩენში ქალებს, რომლებიც აშკარა გარყვნილი ღიმილით, შეხუმრებით და ნიშნებით შეგიწვევდნენ სახლში; ვერა ნახავდით არამც თუ დამთვრალს დედაკაცს, არამედ ნასვამსაც, როდესაც რუსის დედაკაცები, ბევრჯელ ხანში შესულებიც, გალაჯული დგანან დუქნის კარებში, გადაჭარბებულს "ვოტკას" არწყევენ და გონებადაკარგულნი რაღასაც ლუღლუღებდნენ.

ბევრჯელ იქვე გვერდით უდგასთ რუსის ყაზახები, რომლებიც ან გულგრილად, ან სიამოვნების ღიმილით უყურებენ ამ შესაზარს, სამარცხვინო სურათს, რადგან მოელიან იმათთან სასიამოვნო დროსგატარებას.

ისინი იგინებიან, ილანძღებიან უშვერის პირით, ათრევენ ერთმანეთს თმებით, მაგრამ ყაზახებზედ ამას არავითარი მოქმედება არა აქვს, თითქოს ეს ასე უნდა იყოს, თითქო იმათი ცხოვრება მიდიოდეს წესიერს, ადამიანის საკადრის კვალობაზედ. ბევრჯელ შემხვედრია ასეთი სურათი: როდესაც ჩეჩენს გაუვლია ყაზახების დუქნის წინ და, რა დაუნახავს შესაზარებელი სურათი: დედა-კაცისაგან დაკარგვა ნამუსისა, პატიოსნებისა და ადამიანის დანიშნულებისა, - გაუთლელს ჩეჩენს, როგორც ისინი ჩვენა გვგონია, პირი მოურიდებია, ზიზლით გადაუფურთხებია და თვალების ცისკენ მიქცევით წამოუძახნია: იალაჰ! მაგრამ ეს "იალაჰ" უნდა გაგეგონათ, რა ხმით წარმოუთქვამს იმას, რომ გაგეგოთ, რამდენად აღელვებულა გაურყვნელი ბუნება ამ კაცობა-დაკარგულის სურათის ნახვით...

მთელი ჩვენი მოგზაურობა მინდორზედ, ვიდრე ბრაგუნს გავიდოდით, ერიგვარად მიდიოდა, ყაზახების ურიცხვი სტანიცების ადგილებზედ ისე არ გაგვივლია, რომ შარი არ მოედოსთ და ჩხუბი არ აეტეხათ, მაგრამ მწყემსების სიმარდემ უფრო მეტად დაგვაკავშირა ერთმანერთს და ზურგი გაგვიმაგრა. თუ საჭიროება მოითხოვდა ხოლმე, ბრძოლით და ჩხუბით ვიკვალავდით გზას, რომელიც სამართლით ჩვენთვის თავისუფალი უნდა ყოფილიყო. მხოლოდ მაშინ გავიგე, რა მდგომარეობამაც ათქმევინა ჩვენს მწყემსებს "ღმერთო, გვარიდე ყაზახის შარს", რადგანაც მშვიდობიანობის დამცველი ყაზახები უშფოთოდ და შარმოუკიდებლად ფეხს არ გვადგმევინებდნენ. მაგრამ რა განსხვავება იყო იმათ და ჩეჩენთ სოფლებ შუა, რომელთ ავკაცობაც, შეუბრალებელი გარეგნული ხასიათი ბავშვობიდგანვე ყურში გვქონდა ჩაწვეთებული!

ესენი დაგვიხვდებოდნენ თუ არა, ზრდილობიანად სოფლის ბოლოს მოგვესალმებოდნენ, თითქოს დიდი ხნის ნაცნობები არიანო, აიღებდნენ ხელში წკეპლებს და გვშველოდნენ სოფლის გაცილებას. ღიმილით და მზრუნველიანად გვკითხავდნენ ჩვენს მოსავალზედ, მშვიდობიანობაზედ და

ჩვენი მგზავრობა, ვიდრე ადგილზე ჩავიდოდით, გაგრძელდა სწორედ ხუთი კვირა, წყნარი და ზოზინით სიარულითა. ამ ხნის განმავლობაში ორი დღე ზედიზედ მზე არ გვინახავს, რადგანაც არაჩვეულებრივი წვიმა განუწყვეტლივ თავს გვესხმოდა.

ორი დღე ზედიზედ მზე არ გვინახავს, რადგანაც არაჩვეულებრივი წვიმა განუწყვეტლივ თავს გვესხმოდა.

წარმოიდგინეთ, რა სიხარულით მივაღწიეთ გროზნას, სადაც იმ ხანში ნაჩალნიკობდა ჩეჩნებისაგან დაუვიწყარი თავადი ნ. ერისთავი, რომელიც მშობლიურის ზრუნვით ეკიდებოდა ამ საცოდავს და დაჩაგრულს ხალხს; მარტო იმას მიაჩნდა ჩეჩენი ადამიანად, სხვებისთვის კი ეს სახელი გაიგებოდა, როგორც ავაზაკი, უეჭველად მტყუანი და ღირსი მათრახისა. გარდახდევინებისა და ბოლოს საღრჩობელისა ან ციმბირისა....

... აქ ვწყვეტამ ამ წერილებს, რადგანაც, რაც ვნახე და გავიგონე, როგორც ეს ყველა ჩავისმინე და გავიგე, გადავწყვიტე მოთხრობებად გადმოგცეთ და გაგაცნოთ იმ ხალხის ჩვეულება, ხასიათი და წესები, რომელიც ან საქართველოს ნაწილს შეადგენს, ან არა და იმის აუცილებელს დამოყვრებულს მეზობლებს, რომლებთანაც უფრო მკვიდრი კავშირი არ აგვცდება ჩქარს მომავალში.

"ნამწყემსარის მოგონებანი"

## უფლებააყრილი საქართველო და საერთაშორისო ორგანიზაციები

(დასაწყისი მე-3 გვ.)

ასევე საყურადღებო იყო შეხვედრები აშშ-ის სახელმწ. დეპარტამენტის და აშშ-ის ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის, აგრეთვე ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის წარმომადგენლებთან.

ჩვენს მიერ გაგზავნილი რამდენიმე მასალა გამოქვეყნდა ჟურნალ "სოვიეტ ენელისტი"-ს 21-ე ტომის მე-8, მე-9, მე-10, მე-11 ნომრებში, მაგალითად, წერილი ე.შევარდნაძის მოღვაწეობის შესახებ, წერილი "გასაოცარი მოვლენები რადიო "თავისუფლება"-ში" და ა.შ.

1994 წლის 20 მაისს ვრცელი წერილით მივმართეთ "ემნესტი ინტერნეიშნლ"-ის გენ. მდივანს, ქ-6 მერჯორი ფარკიუხარსონს. წერილი შეეხებოდა საქართველოში პოლიტპატიმართა მდგომარეობას. ამ და სხვა მასალების საფუძველზე "ემნესტი ინტერნეიშნლ"-მა თავისი მეურვეობის ქვეშ აიყვანა ისინი.

ჟურნალ "გუშაგი"-ს (პარიზი) რედაქციას გაეგზავნა მასალები ბატონ ზვიად გამსახურდიას ხსოვნისადმი მიძღვნილი სპეციალური ნომრისთვის, როგორც თავად პრეზიდენტის მოღვაწეობის, ისე ადამიანის უფლებათა მდგომარეობის შესახებ.

დეკემბერ-იანვრის გადატრიალების შემდეგ მრავალრიცხოვანი განცხადებები სისტემატურად ეგზავნება მსოფლიოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებსა და სააგენტოებს.

იმისათვის, რათა უფრო ნათელი გახდეს დასავლეთის დამოკიდებულება ჩვენს ქვეყანაში ადამიანის უფლებათა მდგომარეობისადმი, მოვიყვანთ რამდენიმე საგულისხმო ადგილს აშშ-სა და ევროპაში გამოქვეყნებული ზოგიერთი მნიშვნელოვანი პუბლიკაციიდან:

"მსოფლიო საზოგადოებისათვის ცნობილია, რომ საქართველოს რესპუბლიკაში 1991-92 წწ. დეკემბერ-იანვრის შეიარაღებული გადატრიალების შედეგად სახელმწიფოს სათავეში მოექცა სამხედრო საბჭო (შემდგომში სახელმწიფო საბჭო). ქვეყანაში დამკვიდრებულ მოძალადე რეჟიმს, რომელმაც გააძევა დემოკრატიული წესით არჩეული პრეზიდენტი და უზენაესი საბჭო, 1992 წლის მარტიდან სათავეში უდგას მსოფლიოს პოლიტ. წრეებში პოპულარული პიროვნება ედ. შევარდნაძე.

ეს უკანონო რეჟიმი შეეცადა მოეპოვებინა "კანონიერი" სტატუსი და ამ მიზნით ჩაატარა ე.წ. არჩევნები, რაც მსოფლიოს დემოკრატიული ქვეყნებიდან (დიდი ბრიტანეთი, ფინეთი) ჩასული საერთაშორისო დამკვირვებლების მოწმობით თავიდან ბოლომდე ფალსიფიცირებული იყო. ბუნებრივია, ძალადობით მოსული რეჟიმი (რომელმაც აშკარა ფალსიფიკაციით მოირგო კანონიერი ხელისუფლების ნიღაბი) ვერავითარ დემოკრატიას ვერ დაამყარებს. მისი მიზანი იყო და არის მოსახლეობის ტერორიზება, ადამიანთა კანონიერი უფლებების ყოველმხრივ დათრგუნვა და ამ გზით მათი ნების ჩახშობა" (ადამიანის უფლებათა საერთაშორისო საზოგადოების პრეს-რელიზი, მაინის ფრანკფურტი, გერმ. ენაზე, 1993 წლის 23 ნოემბერი).

"... ოფიციალური პირები აპატიმრებენ ყოველგვარი ორდერის გარეშე, ფიზიკურად შეურაცხყოფენ დაკავებულებს და ხელოვნურად ზრდიან წინასწარი პატიმრობის ზღვრულ დროს ყოველგვარი ოფიციალური დოკუმენტის გარეშე...

საქართველოს სამხედრო ან გასამხედროებულმა ფორმირებებმა, როგორც სანდო წყაროებიდან არის ცნობილი, მოკლეს რამდენიმე პატიმარი... არ არის ცნობილი, რომ ბოროტების ჩამდენი რომელიმე ოფიციალური პირი გაესამართლებინოთ ან გაეთავისუფლებინოთ მათი ქმედებისათვის.

დანამდვილებით ცნობილია, რომ კანონის განმახორციელებელნი ხშირად სცემენ დაკავებულებს; ისინი აპატიმრებენ მიუხედავად სათანადო საბაბის არარსებობისა. უფარდებენ მათ სპეციფიკურ ბრალდებებს, შემდეგ კი პატიმართა ოჯახებისგან მოითხოვენ გარკვეული თანხის გადახდას მათი გათავისუფლებისათვის... პოლიტიკური პატიმრების ფიზიკური წამება გრძელდებოდა მთელი 1993 წლის მანძილზე. რამდენიმე ზვიადისტი, რომლებიც დააპატიმრეს 1992 წელს განხორციელებული თუ სიტყვიერად დაგეგმილი ტერორისტული აქტების გამო, ფიზიკურად აწამეს 1993 წელს. რამდენიმე შემთხვევაში წამების განმხორციელებელნი იყვნენ სისხლის სამართლის დამნაშავე უკვე გასამართლებული პატიმრები, რომლებთან ერთად ზემოხსენებულ დაკავებულთა ყოფნა ციხის განაწესის დარღვევაა. დადგენილია აგრეთვე, რომ კომენდატურის წარმომადგენელნი აწყობენ ხოლმე ფალსიფიცირებულ ეგზეკუციებს ტყვეების ტერორიზების მიზნით... კანონის განმხორციელებელნი და გასამხედროებული ჯგუფები ხშირად მოქმედებენ მთავრობის სახელით, უგულებელყოფენ კანონით გათვალისწინებულ დაცვებს, ძალით, თვითნებურად აკავებენ ხალხს, ხელოვნურად ზრდიან დაკავების ვადებს და არღვევენ დოკუმენტაციის შევსების წესებს. ხალხს ხშირად არ ეძლევა უფლება, მიმართონ დამცველს, ისინი არ არიან ინფორმირებულნი თავიანთი უფლებების შესახებ... მთავრობამ ბოროტად გამოიყენა კანონმდებლობა, გამოიყენა რა იგი ხანგრძლივი პოლიტიკური დაკავების გასამართლებლად... ხდებოდა ადმინისტრაციულ სისტემაში ბოროტმოქმედებათა ხელშეწყობა პოლიტიკური მოტივით დაპატიმრებულთა მიმართ" (აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ბოლო მოხსენებიდან საქართველოში ადამიანის უფლებათა მდგომარეობის შესახებ);

"... ციხე შემაძრწუნებელ შთაბეჭდილებას ახდენს.

აქ არიან პატიმრები, რომელთაც სასტიკი წამების კვალი ამჩნევიათ. ციხეებში ნახავთ სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილ პირებს, რომელნიც არ ემორჩილებიან ციხის ადმინისტრაციას. ეს კი ღრმად დამაფიქრებელია.

შევარდნაძის მომხრეთა მიერ ცეცხლსასროლი იარაღის მუდმივი დემონსტრირება თბილისის ქუჩებში, ცხადია, დაბრკოლებას წარმოადგენდა მისი ოპონენტებისათვის დემონსტრაციის მოწყობისა და თავისი ჭეშმარიტი დამოკიდებულების წარმოჩენისათვის. მით უმეტეს, მათ ჰქონდათ დემონსტრაციების მუდმივი, სასტიკი დარბევების მწარე გამოცდილება. ძალმომრეობის ამგვარი ატმოსფერო ზედმიწევნით გათვლილი ფანდი გახლდათ.

მათ, ვისაც არ უმგზავრია თბილისის მეტროთი ან არ უცდია ქალაქში საკვების შოვნა და მარტოოდენ ხუთვარსკვლავიანი სასტუმროს - "მეტეხის" მომსახურებით ტკბებოდა, უაღრესად დამახინჯებული შთაბეჭდილება დარჩებოდა საქართველოს დედაქალაქში რეალური ცხოვრების შესახებ... ცხოვრება საქართველოში დღეს აუტანელია, რაც არ არის გამოწვეული მხოლოდ ომითა და ეკონომიკური სირთულეებით. სრული დაუცველობა და უკანონობა ღრღნის ადამიანთა გულებს" (დიდი ბრიტანეთის ჰელსინკის ჯგუფის მოხსენებიდან. ჟურნ. "სოვიეტ ენელისტი", 1993, ტ.21, №9-10).

ლევან ურუშაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენი და მათი ნომენკლატურა

მარკ ალმონდი

# ძველი წესრიგის შემობრუნება

## ყოფილი კომუნისტური სამყარო რომ არც ისე ყოფილია, მსოფლიო პირადად ჯიმ ბეიკერს უნდა უმადლოდეს

მარკ ალმონდი - ოქსფორდის უნივერსიტეტის პროფესორი, ევროპის უახლესი ისტორიის სპეციალისტი

გახსოვთ ის დრო, როცა ამერიკის შეერთებულმა შტატებმა მხარი დაუჭირა მესამე მსოფლიოს რეჟიმებს, რომელთა ლიდერები სახალხოდ აღიარებდნენ დასავლური დემოკრატიის პრინციპებს, პარალელურად კი უმოწყალოდ ძარცვავდნენ თავის ქვეყნებს და ატერორებდნენ მოსახლეობას? ცივი ომის დამთავრებასთან ერთად ისე ჩანდა, თითქოს საბოლოოდ ჩაბარდა წარსულს ასეთი ტიპის სანახაობა - ამერიკის პრეზიდენტები ხელს ართმევენ სხვადასხვა ჯურის წარმატებულ ჯალათებს. დასავლეთისა და საბჭოთა კავშირის დაპირისპირების დიდი თამაში გულისხმობდა "ჩვენი" ნაძირალების მხარდაჭერის გამართლებას "მათი" ნაძირალების საწინააღმდეგოდ. ახალ ეტაპზე თითქოს დასრულდა მაკიაველური კომპრომისების ეპოქა, რადგანაც ამერიკის შეერთებულმა შტატებმა თავის თავზე აიღო კომუნიზმის ნანგრევებზე აღმოცენებული ახალი დემოკრატიის მფარველობა.

დღეისათვის, ცოტა არ იყოს, მოძველდა ზღაპარი კომუნიზმის უსისხლო აღსასრულის შესახებ. საბჭოთა კავშირის მთელ ტერიტორიაზე, ესტონეთის გარდა, დამოუკიდებელი რესპუბლიკების სათავეში ყველგან ყოფილი კომუნისტები მოვიდნენ. დემოკრატიასა და საბაზრო ეკონომიკაზე ლაყბობის მიუხედავად, უშფოთველად მიმდინარეობს ძველი კომუნისტური ელიტის მიერ ძალაუფლების აღდგენის პროცესი. ამგვარი მდგომარეობა არახელსაყრელ პირობებს ქმნის ამ ქვეყნებში დემოკრატიის ან კაპიტალიზმის განვითარებისათვის, მაგრამ უფრო უარესი ის არის, რომ ძალაუფლებისათვის ბრძოლის ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ანტიკომუნისტებსა და მოსკოვის მიერ დასმულ პოლიტიკოსებს შორის ამერიკა და დასავლეთ ევროპა რატომღაც კომუნისტების მხარეს იჭერენ.

ის, რაც ამას წინათ მოხდა კავკასიაში, გრაფიკული სიზუსტით გამოკვეთავს ძველი წესრიგის შემობრუნებაში დასავლეთის მონაწილეობის პრობლემას. ამერიკელი დიპლომატის ფრედ ვუდრუფის მკვლელობა კავკასიის დიდი სამხედრო გზის ერთ-ერთ მონაკვეთზე გახდა იმპულსი იმისა, რომ ფართო საზოგადოებისათვის გაცხადებულიყო, თუ რა ღრმად არის ამერიკა ჩათრეული დღევანდელი საქართველოს ბანდიტურ ყოფაში.

ყველა მონაცემით ფრედ ვუდრუფი იყო ნიმუში ცენტრალური სადაზვერვო სამსახურის (CIA) თანამშრომლისა: თავდაჭერილი, მამაცი, გამრჯე, პიროვნულად მოუსყიდავი, მაგრამ ადამიანი, რომელიც მზად არის დასძლიოს საკუთარი ეჭვები ამერიკის ინტერესების სასარგებლოდ.

ფრედ ვუდრუფის ტრაგედია ის არის, რომ იგი გარდაიცვალა სამსახურეობრივი მოვალეობის აღსრულების დროს, რაც გამოიხატებოდა მექრთამეობის, ძალადობის და ნარკობიზნესის ჭუჭყში ჩაფლული რეჟიმის დახმარებაში. და ეს მაშინ, როცა მაფიოზები მოურიდებლად დააბიჯებენ თბილისის ქუჩებში - ქრთამებს იღებენ ყველაფერში, რაშიც კი შეიძლება, აკონტროლებენ ყველა სფეროს პურიდან ჰეროინამდე. მათგან ხელისუფლება დაუფარავად იღებს დახმარებას და ამავდროულად ამერიკისა და გერმანიის მფარველობით იწონებს თავს. შევარდნაძის პირადი დაცვა ამერიკის ექსპერტებთან გადის წვრთნას. "დელტა" ძალებს საქართველოში ჰყავთ სპეციალური ნაწილი, რომლის ფუნქციაა 1991 წლის შობის კვირეულში სახელმწიფოს სათავეში იარაღით მოსული რეჟიმის მხარდაჭერა.

თბილისის ფეშენებელური სავალუტო სასტუმრო "მეტეხი პალასი" გადატენილია აშშ-ს ცენტრალური სადაზვერვო სამსახურისა, და ფედერალური ბიუროს თანამშრომლებით. სასტუმრო, რომელიც პოლიტპატიმრებით გავსებულ ციხეს გადაჰყურებს, აქაური ბანდების მეთაურების საყვარელი დასასვენებელი ადგილია - ამერიკელები მათ თავიანთ გამოცდილებას აზიარებენ და არ ცდილობენ პასუხი აგებინონ, ან ხელი მაინც შეუშალონ ბანდიტობაში.

### რატომ ასე ბრმად?

ნარკოტიკების გავრცელებისა და ორგანიზებული დანაშაულებრიობის წინააღმდეგ ჯვაროსნული ლაშქრობა თითქოს ამერიკის უმთავრეს მისიას წარმოადგენდა ცივი ომის დამთავრების შემდგომ პერიოდში. მაგრამ ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს კავკასიაში ჯვაროსნებს აერიათ მტერ-მოყვარე და სარაცინების მაგივრად ქრისტიანებს დაერიენ.

რამ დააბრმავა ამერიკის პოლიტიკური ელიტა? პასუხი ერთი ადამიანის გვარით შეიძლება გამოითქვას - ედუარდ შევარდნაძემ.

"ბრითიშ ობზერვერის" მიერ თანამედროვე სამყაროში ლამის წმინდანად შერაცხული შევარდნაძე კანონიზებული იქნა სრულიად დასავლეთის მიერ თავისი როლის გამო ცივი ომის დამთავრების საქმეში. ბერლინის კედლის დაცემის თბილი დაისის სხივებში აღარავის აწყობდა შევარდნაძისათვის კომპარტიისა და სუკის შეფობის ხანგრძლივი წლების შეხსენება. აქ, ყველას წინაშე იყო ლეოპარდი, რომელსაც ლაქები გამოეცვალა.

იმ დროს, როცა აღმოსავლეთ-ევროპასთან დაკავშირებული დაძაბულობის მოხსნამ შევარდნაძის იმიჯი დასავლეთში უკეთესობისკენ შეცვალა, საბჭოთა კავშირის ნგრევამ იგი თავისი კარიერის საწყის პუნქტში დააბრუნა - მშობლიურ საქართველოში. ყველაფერ ამის შემდეგ შევარდანძისთვის, როგორც ქართველისთვის გაძნელდებოდა ახალ რუსეთში ხელისუფლების სათავეში დარჩენა. ამრიგად, ლეოპარდმა ისევ შეიცვალა ლაქები და ამჯერად სამხრეთის მეთაურად მოგვევლინა.

საუბედუროდ, სწორედ ამ პერიოდში ქართველებს უკვე აერჩიათ თავისი პრეზიდენტი - ზვიად გამსახურდია - ძველი ეკალი შევარდნაძის თვალში ჯერ კიდევ იმ დროიდან, როცა შევარდნაძე პირველი მდივანი იყო. ზვიად გამსახურდია წარმოადგენდა ყველაფერ იმას, რასაც არ წარმოადგენდა შევარდნაძე. ახალი აზროვნების თვალცრემლიანი, ტკბილად მოუბარი წინასწარმეტყველის საპირისპიროდ, გამსახურდია ძველმოდური ანტიკომუნისტი იყო, რომელმაც შევარდნაძის კომუნისტური მმართველობის პერიოდი საქართველოში ნაციონალიზმის აღზევებას ამსახურა.

### ბუში მეტერნიხის როლში

იმისათვის, რომ ისეთი ხალხი გამოზრდილიყო, როგორიც ჯორჯ ბუში და ჯიმ ბეიკერია, მხოლოდ ანტიკომუნიზმის ულრანი სიშორეები არ იყო საკმარისი. ანტიკომუნიზმთან შერწყმული ნაციონალიზმი გახდა ის წყევლასავით საშინელი კომბინაცია, რომლის წინააღმდეგ ბრძოლაც, მათი აზრით, იძლეოდა განახლებულ საბჭოთა კავშირთან ყველაზე ნაყოფიერი თანამშრომლობის საფუძველს. ის, რასაც ბუშის საგარეო პოლიტიკური დოქტრინა ერქვა, ასე შეიძლება ჩამოყალიბდეს - არც ძველი ქვეყნები უნდა დაინგრეს, არც ახალი ქვეყნები უნდა შეიქმნას. ბუში ძალიან ჰგავს პოსტმოდერნიზმის ეპოქის მეტერნიხს, რომელიც წინააღმდეგია, რომ სადამმა ალ საბაჰის კუვეიტი ჩაყლაპოს, მაგრამ ასევე არ მიესალმება ლიტვის მიერ დამოუკიდებლობის გამოცხადებას.

მთელ საბჭოთა კავშირში კარგად ახსოვთ ბუშის ცნობილი გალაშქრება "დამღუპველი ნაციონალიზმის" წინააღმდეგ კიევში 1991 წელს, აგვისტოს პუტჩამდე სამი კვირით ადრე. ასევე იგონებენ, თუ როგორი მზადყოფნა გამოხატა ბუშმა, მიერთებოდა საერთო კომუნიკეს აზერბაიჯანის პრეზიდენტ, ანტიკომუნისტ ელჩიბეის "ნაციონალისტური" პოლიტიკის დაგმობის შესახებ, მოსკოვში თავისი ბოლო ვიზიტის დროს. ცოტა ხანში აბულფაზ ელჩიბეი გადააყენეს შეიარაღებული გადატრიალების ძალით. მაგრამ ქართული ვარიანტი დასავლეთის თანხმობით პოსტსაბჭოური წყობის აღდგენისა, მაინც ყველაზე ჭკუისსასწავლებელ შემთხვევად რჩება.

მიუხედავად იმისა, რომ გამსახურდიამ პრეზიდენტობის ხუთ პრეტენდენტს აჯობა 1991 წლის მაისის საპრეზიდენტო არჩევნებში და ხმათა 87 პროცენტი მოიპოვა, რამდენიმე კვირაში იგი დიქტატორად გამოცხადდა. მთელი ძალით ამუშავდა დეზინფორმაციის აპარატი, რომელიც არწმუნებდა დასავლეთის ჟურნალისტებს, რომ გამსახურდია ბოროტი ნაციონალისტი, სასტიკი ტირანი იყო.

1991 წლის დეკემბერში, როცა საბჭოთა კავშირი დაიშალა, გამსახურდიას ოპონენტები შეუერთდნენ სამხედრო ძალებს და ტანკებისა და მძიმე არტილერიის გამოყენებით დაამხეს პრეზიდენტი. ამ ეტაპზე მათ მეთაურობდა ორი სამხედრო პირი სრულიად არამომხიბლავი წარსულით. თენგიზ კიტოვანი ხელმძღვანელობდა "ეროვნულ გვარდიას", ხოლო ჯაბა იოსელიანი აკონტროლებდა გასამხედროებული ფორმირება "მხედრიონის" მოქმედებებს. მიუხედავად ლამაზი სახელებისა, ორივე ეს გაერთიანება ყაჩაღებით იყო დაკომპლექტებული. იოსელიანს კრიმინალურ დანაშაულთა სარეკორდო რაოდენობა ჰქონდა საბჭოთა კავშირის პერიოდში, რასაც თვითონ უტიფრად "დისიდენტობას" არქმევდა.

გარკვეული დროის შემდეგ შევარდნაძე დაბრუნდა თავის მშობლიურ მხარეში და 1992 წლის მარტში ქვეყანას ჩაუდგა სათავეში. ამ პერიოდში დასავლეთის საინფორმაციო საშუალებები გვარწმუნებდნენ, რომ შევარდნაძე სწრაფად დააყენებდა ფეხზე გამსახურდიას მიერ დანგრეულ საქართველოს, მაგრამ კომენდანტის საათი, უიმედობა, განუწყვეტელი სროლები ქალაქის ქუჩებში კიდევ დიდხანს გრძელდებოდა.

დასავლეთმა საქართველოში თავისი ემისრები გამოაგზავნა, რათა შევარდნაძისთვის ახალი პოსტის დაკავება მიელოცა. ქართველებმა მშვიდობიანი დემონსტრაცია მოაწყვეს იმის იმედით, რომ დემოკრატიის ისეთი თვალსაჩინო ფიგურები, როგორც ჰანს დიტრიხ გენშერი და ჯეიმს ბეიკერი არიან, ანგარიშს გაუწევდნენ ხალხის უკმაყოფილებას და იქნებ იმითაც დაინტერესებულიყვნენ სად "გაქრა" გამსახურდიას მხარდამჭერთა არმია, მაგრამ ხალხთან შეხვედრას ბეიკერმა ტელევიზიით გამოსვლა ამჯობინა. როცა ბეიკერი თბილი ღიმილით ხელს ართმევდა ჯაბა იოსელიანს, მხედრიონელები სასტიკად არბევდნენ მშვიდობიან დემონსტრაციას. ამ შემთხვევის შემდეგ საქართველოში ტყვიებს ბეიკერებს ეძახიან ნახევრად ხუმრობით, ხოლო გერმანულ ნაგაზებს, რომელთაც აგრეთვე იყენებდნენ მათ დასარბევად, - გენშერებად მოიხსენიებენ.

რიგითი ქართველები, რომლებიც ხედავდნენ ახალი მმართველების მიერ დანგრეულ თავის ქვეყანას, ნარკოტიკებზე მონადირე მხედრიონელების მიერ გატიალებულ სამედიცინო დაწესებულებებს, ცოტა არ იყოს გაურკვევლობაში იმყოფებოდნენ. ვერ გაეგოთ, რატომ უჭერდა მხარს დასავლეთი ხელისუფლებს, რომელთაც სახელმწიფო ისეთ უფსკრულამდე დასცეს, რომ საქართველო გადაიქცა საბჭოური ტიპის ჩამორჩენილი ადმინისტრაციული ერთეულისა და სადამსჯელო რაზმების მომზადების ლათინო-ამერიკული ცენტრების ჰიბრიდად. მაგრამ რეზიდენტ დიპლომატებს მხოლოდ შევარდნაძისთვის ჰყოფნიდათ თვალები, რომლის სიწმინდე კიდევ უფრო გაიზარდა საქართველოს მფარველი წმინდა გიორგის სახელით მონათვლის შემდეგ. რასაკვირველია, ეს ოცდაათიანი წლები უკვე აღარ იყო, როცა სხვა ქართველი ისე ოსტატურად ქსოვდა გობელენს უამრავი მეთვალყურის თვალწინ, რომ ერთბაშად აბრმავებდა საბჭოთა კავშირში ჩამოსულ ყველა სტუმარს და ვეღარავინ ხედავდა ქვეყანაში გამეფებულ სისასტიკეს. მაგრამ სტალინს წესრიგი მაინც ჰქონდა ქვეყანაში, შევარდნაძის საქართველოში კი განუწყვეტლივ ისმის თოფის სროლის ხმა, ხოლო ნარკომანებით გადავსებულია არა მხოლოდ ქალაქის ქუჩები, არამედ მხედრიონის რიგებიც კი.

### მიმქრალი ჩირაღდანი.

ბილ კლინტონმა ბუშის საგარეო დოქტრინა მიიღო მემკვიდრეობად. სწორედ კლინტონის დროინდელი სადაზვერვო სამსახურის უფროსი ჯეიმს ვულსი იყო ის კაცი, რომელიც მოსკოვის სუკ-ის ბოსთან ევგენი პრიმაკოვთან გულითადი მუსაიფის შემდეგ საქართველოში ჩამოვიდა, რომ შევარდნაძის გვერდით დამდგარიყო საპატიო ყარაულში ვუდრუფის კუბოსთან.

როცა შევარდნაძემ საკუთარი თავი პრეზიდენტად აირჩია შარშან ოქტომბერში, ამერიკის ნაციონალურმა დემოკრატიულმა ინსტიტუტმა არჩევნებზე დამკვირვებლებლად დელეგაცია გამოაგზავნა ბრაიან ეტვუდის ხელმძღვანელობით. ეტვუდი ამჟამად სახელმწიფო დეპარტამენტის მაღალი რანგის ჩინოვნიკია. "მეტეხი პალასის" 270 დოლარიან ნომრებში დაბინავებული დელეგაციის წევრები მუსიკითა და შადრევნებით იყვნენ იზოლირებულნი გარე სამყაროს მკაცრი რეალობისგან.

პრესკონფერენციაზე შევარდნაძემ თანხმობა გამოთქვა დამკვირებლებისთვის მიეცა უფლება შეხვედროდნენ ზოგიერთ პოლიტპატიმარს. დემოკრატიული ინსტიტუტის თანამშრომლებს არ გამოუხატავთ პატიმრებთან შეხვედრის სურვილი.

ჩვენ მოგვცეს ზაზა წიკლაურთან საუბრის უფლება. ეს ის პატიმარია, რომლის გარშემო ერთ დროს მეტად გახმაურებული სკანდალი ატყდა.

ბრიტანელი დამკვირვებლები ცენტრალურ ციხეში მივედით. მაგრამ წიკლაურმა ვერაფრით გაიხსენა, რომ იგი ნაწამები იყო. ეს მითუმეტეს უცნაურად ჩანდა, რადგან მისი წამების შესახებ ყველამ იცოდა, შევარდნაძიდან დაწყებული, გამომძიებლის ჩათვლით, რომელმაც ჩურჩულით გაგვანდო: "მე არ მგონია, რომ ეს იარები წიკლაურმა ავტოკატასტროფის შედეგად მიიღო". მაგრამ წიკლაური ამტკიცებდა, რომ მისი გადამტვრეული ფეხები, იარები, საშინელი დამწვრობები გაქცევის მცდელობის დროს მანქანიდან გადმოხტომის შედეგი იყო. როგორი ნაწამები უნდა იყოს ადამიანი, რომ თვითონვე უარყოს ის, რასაც მისი ჯალათები აღიარებენ.

წიკლაურის მდგომარეობაში მყოფი პატიმრების ნათესავებმა მოსთხოვეს დასავლეთის საელჩოებს მეთვალყურეობა გაეწიათ პროცესისათვის, მაგრამ უშედეგოდ. პიროვნებას, ვისაც ვუდრუფის მკვლელობაში ადანაშაულებენ, ალბათ, იგივე პერსპექტივა ელის - საერთაშორისო დამკვირვებლების გარეშე გაასამართლებენ.

### აპარატჩიკების გარემოცვაში

თავისი დასავლური ზურგის მიუხედავად, შევარდნაძის მდგომარეობა შორს არის ვარდისფერი ფერებისაგან. მისი ძალაუფლების საფუძველს წარმოადგენს ძველი საბჭოური ელიტა, გაძლიერებული სახელგამოცვლილი სუკის მიერ, თუ კი მას ხალხის მხრიდან რაიმე მხარდაჭერა კიდევ ჰქონდა შარშან ოქტომბერში - დღეს ყოველგვარი იმედი ამოწურულია. ოქტომბერში, როცა ქართველებს ვესაუბრებოდი, თითქოს გარკვეული იმედები არსებობდა, რომ შევარდნაძე მოახერხებდა თავისი ძალაუფლების გამყარებას და მისი მდიდარი მეგობრები დაეხმარებოდნენ ქვეყანაში საერთო სიტუაციის გაუმჯობესების საქმეში. მართლაც, აშშ-მ და ევროგაერთიანებამ საქართველოში 100000 ტონაზე მეტი ხორბალი გამოაგზავნეს, მაგრამ ამ ნობათზე ყველამ მოითბო ხელი რიგითი მოქალაქეების გარდა. როცა ნაღების მოხდის ან დიდი წილის აღების დრო დგება, ვერავინ გაუწევს კონკურენციას ძველ აპარატჩიკებს.

შევარდნაძისთვის სამწუხაროდ, იგივე "მაგარი", ბიჭები, რომლებმაც იგი ძალაუფლების სათავეში მოიყვანეს, თავისი ყაჩაღობით საფუძველს ურყევენ ნებისმიერი საზოგადოების სტაბილურ ყოფას. შევარდნაძის წინაშე საშიში არჩევანი დგას: იგი ან ამ "მაგარი" ბიჭების გვერდით უნდა დარჩეს და ამის გამო საბოლოოდ დაემშვიდობოს დასავლეთის კეთილგანწყობას, ან ძველი სუკის დახმარებით მოიშოროს ისინი. ყველა შემთხვევაში, სისხლისღვრა მოსალოდნელია. საფიქრალია, რომ აშშ-ს სადაზვერვო სამსახურების დახმარებით შევარდნაძე უფრო მეორე ვარიანტზე შეჩერდეს. შეიძლება სწორედ ეს იყოს მიზეზი ფრედ ვუდრუფის მკვლელობისა. ამით ცერეუ გააფრთხილეს არ ჩარეულიყო საქართველოს შინაურ საქმეებში.

ყველა შემთხვევაში. შეერთებული შტატებისა და ევროგაერთიანების ძვირადღირებული დახმარება, რომელიც შევარდნაძის გასაძლიერებლად იყო განკუთვნილი, ტიპიური ნიმუშია ალიანსისა დასავლეთის ესტებლიშმენტსა და ნომენკლატურას შორის. საბჭოური ბლოკის ფარგლებში ეს ახალი მოცემულობა ხელს უწყობს ისეთი განწყობილების წარმოშობას, რომელიც კომუნისტურმა პროპაგანდამ სამოცდაათწლიანი მცდელობის მიუხედავად ვერ დაამკვიდრა თავისი მოსახლეობის აზროვნებაში - ეს განწყობილება გახლავთ აქტიური ანტიამერიკანიზმი. თუ აქამდე ყველაფერი იმაზე მუშაობდა, რომ საბჭოური ყოფის საპირისპიროდ ამერიკული ცხოვრების წესი რაც შეიძლება მომხიბლავად გამოჩენილიყო კომუნიზმის პირობებში მცხოვრები ადამიანებისათვის; ახლა ჯეიმს ბეიკერის დანახვა, როცა ის ხელს ართმევს ჯაბა იოსელიანს, ან კიდევ სადაზვერვო სამსახურის შეფის გვერდიგვერდ დგომა ფელიქს ძერჟინსკის მემკვიდრესთან ერთად, საშინელ გაღიზიანებას იწვევს. ეს ფენომენი ყოველდღიური ეკონომიკური თანამშრომლობის მაგალითზეც იჩენს თავს. ისეთი დასვლური ბანკები და ჰუმანიტარული დახმარების სამსახურები, როგორიც არის მაგალითად არაჩვეულებრივად ხელგაშლილი ჟაკ ატალის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი, პირდაპირ იმაზე მუშაობს, რომ რაც შეიძლება მეტი ფული აღმოჩნდეს ნომენკლატურის ხელში, რათა მათ მიერ მოხდეს წამგებიანი სახელმწიფო საწარმოების პრივატიზება. ხალხში ხუმრობით ამ ბანკს "ნომენკლატურის რეკონსტრუქციისა და დახმარების ბანკს" ეძახიან.

ორველმა "ცხოველების ფერმაში" ასე დასცინა სტალინისა და ჰიტლერის სამარცხვინო პაქტს - რომანის ბოლოს ღორები და ადამიანები ერთად აღნიშნავენ სხვა ცხოველების საზიანოდ მიღწეულ შეთანხმებას. ეს ეპიზოდი ძალიან ჰგავს ჩვენს ელიტასა და ნომენკლატურას შორის ახლად გაჩენილი ძმური კავშირის ილუსტრაციას.

ფრედ ვუდრუფის ტრაგედიაა, რომ იგი საზღვარგარეთ გააგზავნეს, რათა თავისი სამშობლოსთვის მომკვდარიყო. სინამდვილეში კი ეს ადამიანი თავისი ქვეყნის მტრებისთვის მოკვდა. 80-იანი წლების ბოლო რომ იყოს, ოლივერ სტოუნი ფილმს გააკეთებდა ვუდრუფის დაღუპვაზე, მაგრამ ამ ფილმში ერთმანეთში აირეოდნენ გმირები და ნაძირალები. სტოუნმა ეს ფილმი, იქნებ, კიდევ გადაიღოს. ვაშინგტონმა კი თავისი, სამწუხაროდ, უკვე გააკეთა.

"ნეიშნლ რევიუ", 1993 წ.

# სხვადასხვა ინფორმაცია

იმა-პრესისა და ჩეჩენპრესის ინფორმაციით, ჩეჩნეთის სახელმწიფო უშიშროების დეპარტამენტის უფროსმა სულთან გელისხანოვმა ტელეინტერვიუში ბრალი დასდო რუსეთის ხელმძღვანელობას, რომ იგი ცდილობს ედუარდ შევარდნაძის როლი დააკისროს რუსეთის ფედერაციის ყველაზე მაღალი რანგის ყოფილ პოლიტიკოსებს, წარმოშობით ჩეჩნებს. "მაგრამ შევარდნაძემ იმდენად სამარცხვინო სახელი მოიხვეჭა, რომ ჩეჩენი ხალხი ამით არ მოტყუვდება", - აღნიშნა გელისხანოვმა. სპეცსამსახურის მეთაურს აკვირვებს "არა იმდენად რუსეთის საინფორმაციო სამსახურების აშკარა სიცრუე, არამედ ის, რომ რუსეთის უმაღლეს პოლიტიკურ წრეებში სერიოზულად ფიქრობენ, თითქოს ჩეჩნეთში არსებობს პრორუსული ორიენტაციის სერიოზული ძალები." მან განაცხადა, რომ პრესაში მძლავრი პროპაგანდისტული კამპანია წარმოადგენს ნაწილს მოსკოვის გააზრებული გეგმისა, რომელიც მიზნად ისახავს ჩეჩნეთის რესპუბლიკა იჩქერიაში მდგომარეობის დესტაბილიზაციას. შემთხვევითი როდია, რომ კონტრდაზვერვის ფედერალური სამსახურის დირექტორი სერგეი სტეპაშინი აგვისტოს დასაწყისში იმყოფებოდა ჩრდილოეთ კავკასიაში, კერძოდ, კარაჩაევო-ჩერქეზეთში.

გელისხანოვმა აღნიშნა, რომ მისი უწყება კვალში უდგას რუსეთის კონტრდაზვერვისა და საგარეო დაზვერვის სამსახურების ყოველ ნაბიჯს.

***

"მეგაპოლის ექსპრესის" მიმომხილველის კითხვაზე - რა პრინციპით ირჩევს იგი თანამოსაუბრეებს გადაცემისათვის "ჭეშმარიტების მომენტი", - კარულოვი პასუხობს:

"- გუმანი მკარნახობს, რომ, მაგალითად, დღეს საჭიროა ინტერვიუ შევარდნაძესთან ("ჭეშმარიტების მომენტი" 25.07.94, რუსეთის ტელევიზია). ერთი წლის წინ ედუარდ შევარდნაძემ ოფიციალურად მიმართა ბეჭდვითი სიტყვის მინისტრის მოადგილეს დავით ცაბრიას, ამბობდა, რომ "ჭეშმარიტების მომენტში" მონაწილეობა სურს. მე კი არ ვისურვე. რატომ არ მინდოდა ეს საუბარი, ვერ აგიხსნით.

ახლა კი წავედი, და ძალიან სევდიანი ინტერვიუ გამოგვივიდა... ერთი სენსაციური აღიარებით. მხედველობაში მაქვს კიტოვანის ღალატი. ვეჭვობ, დღეს საქართველოში იმგვარი სიტუაციაა, რომ შევარდნაძე იქ ინგლისის დედოფლის მდგომარეობაში იმყოფება. ყველაფერს სხვები წყვეტენ."

"მეგაპოლის ექსპრესი"
(№24, 1994 წ.)

***

ჩეჩნეთის პრეზიდენტმა დუდაევმა და დონის კაზაკების ატამანმა ნიკოლაი კ[…]ზიცინმა ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას მეგობრობისა და თანამშრომლობის შესახებ. ჩრდილო-დასავლეთ რუსეთის კაზაკობამ ეს ხელშეკრულება დაგმო […] მას უწოდა "ზურგში მახვილის ჩაცემა".

კაზაკთა გაერთიანების წარმომადგენელმა, რუსეთისა და საზღვარგარეთის კაზაკთა ჯარების კავშირის საინფორმაციო ანალიტიკური სამსახურის უფროსმა ვლადიმერ ნოვიკოვმა მხარი დაუჭირა დონის კაზაკების ატამანის ინიციატივას […] კატეგორიულად უარყო ჩეჩნეთში […] სებულ დაპირისპირებაში კაზაკთა […] ნაწილეობის შესაძლებლობა, როგორც პრეზიდენტ დუდაევის, ასევე ოპოზიციის მხარეს - იქნება ეს ავტურხანოვი, […] ხაზბულატოვი.

რადიო "თავისუფლება",
25 აგვისტო, 22.00 სთ

**1994 წლის 6 სექტემბერს […] საათზე "დედა ენის" ძეგლთან საქართველოს პოლიტიკურ პა[…]რტიათა და ორგანიზაციათა გა[…]ერთიანება "მრგვალი მაგიდა" - თავისუფალი საქართველო […]მართავს ანტიიმპერიულ მი[…]ინგს, რომელიც ეძღვნება ჩ[…]ჩნეთის რესპუბლიკა იჩქერიის დამოუკიდებლობის მესამე წლისთავს.**

"მრგვალი მაგიდის"
პრეს-სამსახური

მთავარი რედაქტორი თამარ ებრალიძე

თავისუფალი საქართველო ულრმეს მადლობას უხდის ყველას, ვინ[ც] წვლილი შეიტანა გაზეთის განახლებაში.